ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

20 იანვრიდან!
ჟან შარდენი
მოგზაურობა საქართველოში
„ახალ თაობასთან“ ერთად
ფასი გაზეთთან ერთად 2 ლარი და 50 თეთრი




ხუთშაბათი, 22 იანვარი, 2015 116 (6636) აფცბ5 №) სტსჰბ

# ვის ტვინში მოიხარშა მკვლელობის ეს უბინძურესი ფორმა?

გვ.3



„იმ ადამიანებს, რომლებმაც განახორციელეს დანაშაული, უნდოდათ, მხილების ჯაჭვი გაწყვეტილიყო“



„იური ვაზაგაშვილის ყველაზე დიდი მტერი ნაციონალური მოძრაობა იყო“

## იური ვაზაგაშვილი ქარხნული წარმოების საბრძოლო მოწყობილობით ააფეთქეს

გვ.2

## სიკვდილამდე 4 დღით ადრე იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

გვ.4





ია მეტრეველი: „იურის ბევრი ახალი ინფორმაცია ჰქონდა“

## აღარ მოგვითმენთ ქართველი ხალხი ამას, ეს ბოლო წვეთი იყო“

გვ.5



რეზო ამაშუკელი ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს

## ჯემალ გუნდიშვილი: იური ვაზაგაშვილის შემზარავი მკვლელობა კანონზომიერია არსებულ პირობებში“

გვ.5



## ზაზა დავითაია: ზურა ვაზაგაშვილის საფლავს მამამისთან ერთად სამართლიანობაც დაახლეს“

გვ.4

ISSN 1987-9385

კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# იური ვაზაგაშვილი ქარხნული წარმოების საბრძოლო მოწყობილობით ააფეთქეს

**დასრულდა ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავის შემოწმება, სადაც 20 იანვარს, აფეთქების შედეგად, დაიღუპა ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი.**

ექსპერტიზაში მონაწილეობას დამოუკიდებელი ექსპერტებიც იღებდნენ.

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი ზაზა ალთუნაშვილი მიიჩნევს, რომ ვაზაგაშვილის საფლავზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დისტანციური მართვის პულტით არ იმართებოდა.

— ეს იყო ქარხნული წარმოების საბრძოლო მასალა. ამოღებულია ფრაგმენტები, მაგრამ დისტანციური მართვის შემადგენელი ნაწილები არ ყოფილა აღმოჩენილი. არ მგონია, რომ დისტანციური მართვის პულტზე ყოფილიყო. ფაქტობრივად, სახეობა დადგენილია, საუბარია მოდელის დაკონკრეტებაზე. დათვალიერების დროს იმის საშუალება არ არის, რომ მოდელი ზუსტად დაადგინო. რაც შეეხება ტიპს, ის უკვე დადგენილია, — განაცხადა ალთუნაშვილმა.

მისივე თქმით, ეს არის ქარხნული წარმოების ასაფეთქებელი მოწყობილობა, ჩვეულებრივი საბრძოლო მასა, რომლის შენახვა-შეძენა-გადატანა კანონის შესაბამისად ისჯება.

— ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა ძალიან ბევრი სამუშაო. ამოღებულ იქნა ნივთმტკიცებები, რომელთა შეფასებები მთლიანობაში მოგვცემს საშუალებას, დავადგინოთ, თუ რა გარემოებებში და რა ვითარებაში მოხდა აფეთქება, — განაცხადა ალთუნაშვილმა.



იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით ორი მესაფლავე დაიკითხა. ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატის, ირმა ჭკადუას, თქმით, მესაფლავეების დაკითხვის გარდა, იური ვაზაგაშვილის ავტომანქანის დათვალიერებაც მოხდა.

— რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ტრაგედიის ადგილის დათვალიერება, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს. ასევე შემოწმდა იური ვაზაგაშვილის ავტომანქანაც. რაც შეეხება დაკითხვებს, იმის გამო, რომ ეს სამუშაოები გვიანობამდე გაგრძელდა, დაიკითხა მხოლოდ ორი მესაფლავე, — განაცხადა ირმა ჭკადუამ.

კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას მცხოვრები ნანა ბედოშვილის ინფორმაციით, იური ვაზაგაშვილი ცოცხალი იყო, როდესაც აფეთქების შემდეგ მეზობლებმა პირველად ნახეს.

ნანა ბედოშვილს ინფორმაცია მისი მეუღლის, ვაჟა გიგოლაშვილისგან, აქვს, რომელიც ტრაგედიის ადგილზე პირველი მივიდა.

ვაჟა გიგოლაშვილი ერთ-ერთია იმ მესაფლავეთაგან, რომლებიც გორის პოლიციაში აღნიშნულ საქმეზე დაკითხეს.

— წუხელ ჩემი მეუღლე პოლიციიდან ღამის ორ საათზე მოიყვანეს. ჰკითხეს, რა იყო, როგორ იყო, ხომ არავინ ნახეო. უთხრა, რაც ნახა — ჩემი მეუღლე მივიდა პირველი და ნახა, ძირს ეგდო საწყალი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, გუბე იდგა სისხლის. საყვავილესთან იყო დამონტაჟებული მგონი რაღაც, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ნანა ბედოშვილმა.

# ნინო ბურჯანაძე: იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გამოძიება დღეს ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხია“



პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, გუშინ მოკლული იური ვაზაგაშვილის საქმის გამოძიება, ხელისუფლებისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია.

როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ეს საოცარი ცინიზმით დადგმული ტრაგედიაა.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვხატო ღრმა მწუხარება ბატონი იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების გამო. ამ ოჯახმა ძალიან დიდი ტრაგედია გადაიტანა და მართლაც გულწრფელად ვუსამძიმრებ პირველ რიგში მის მეუღლეს, შემდეგ ყველა მის ახლობელსა თუ მეგობარს.

ეს არის საოცარი ცინიზმით დაგეგმილი ტრაგედია, რომელიც ნამდვილად ცდება ერთი ადამიანის, ერთი ოჯახის ფარგლებს. ეს არის ტრაგედია, რომელიც მართლაც საქვეყნო მასშტაბის გახლავთ. დღეს ხელისუფლების პრესტიჟის და ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხია იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გამოძიება.

რა თქმა უნდა, ეს უბედურება არის ხელისუფლების კისერზე, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა სამართლიანობის აღდგენისათვის, არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ დამნაშავეები, მკვლელები, მკვლელობის შემკვეთები განსასჯელის სკამზე აღმოჩენილიყვნენ და სამართლიანობას ეზეიმა. დღეს ხელისუფლებას შეუძლია ეს სირცხვილი ნაწილობრივ მაინც ჩამოირეცხოს იმით, რომ გამოიძიოს ეს საქმე ობიექტურად და რეალურად დასაჯოს არა მეისრეები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ამ მკვლელობის ორგანიზატორები და დამკვეთები არიან. თუ ამას ხელისუფლება ვერ შეძლებს, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება. გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ან მართლა არაფერი არ შეუძლია ამ ხელისუფლებას, ან მართლაც არ სურს ჭეშმარიტების დადგენა. ეს ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება.

სამწუხაროდ, დღეს ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში ადამიანები არიან დაუცველნი და სამართლიანობის მოთხოვნისათვის ადამიანები შეიძლება განადგურებულნი იყვნენ არამარტო მორალურად, არამედ ფიზიკურად,“ — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# გიორგი ბადაშვილი: ზურა და იური ვაზაგაშვილების მკვლელობებში დამნაშავეების გამოვლენა პროკურატურის უპირველესი პრიორიტეტია“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს და მთავარი პროკურორის პირველ მოადგილე ირაკლი შოთაძეს შეხვდა.

შეხვედრის თემა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიება და მასთან დაკავშირებული საკითხები იყო.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება აღნიშნული დანაშაულის უსწრაფესი გახსნის, ასევე ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე გამოძიების დასრულების დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე გაამახვილა.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ დღეისათვის ზურა და იური ვაზაგაშვილების მკვლელობის საქმეებზე დამნაშავეების გამოვლენა საქართველოს პროკურატურის ნომერი პირველი პრიორიტეტია და საამისოდ ქვეყნის მთელი სამართალდამცავი სისტემაა მობილიზებული.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა, რომ აუცილებელია არა მხოლოდ ამ საზარელი დანაშაულების ჩამდენ მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემა, არამედ ძალადობის ამგვარი აქტების გამომწვევი და ხელისშემწყობი ფაქტორების საფუძვლიანი ანალიზი და სწორი დასკვნების გამოტანა.

ნიუსპრესი



# გიორგი ალიბეგაშვილმა საკრებულოს სახელით ვაზაგაშვილების ოჯახს მიუსამძიმრა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა.

„მინდა ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით ვაზაგაშვილების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო ღრმა მწუხარება გამოვთქვა.

ესაა შემზარავი ფაქტი, რომელიც არა მხოლოდ ერთი ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნის და თითოეული ჩვენგანის ტრაგედიაა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა დამნაშავე გამოვლინდება, მკაცრად დაისჯება და ეს დასჯა იქნება გზავნილი ყველა კრიმინალისა და მოძალადისთვის.

გვინდა მივუსამძიმროთ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს და მათდამი ჩვენი თანადგომა გამოვხატოთ□□, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

მედიანიუსი

# დავით საგანელიძე: თანამდებობა, რომელზეც ირაკლი კობახიძის კანდიდატურა სახელდება, ერთ-ერთი ჩვეულებრივი პოსტია“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც კოალიციის ხელმძღვანელი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსიდან დაბრუნდება, პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა ჩატარდება.

კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე, სავარაუდოდ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ დაინიშნება.

„ის პოსტი, რომელზეც ირაკლი კობახიძის კანდიდატურა სახელდება, პარტიაში ერთ-ერთი ჩვეულებრივი სამუშაო პოსტია“, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

ირაკლი კობახიძე ამ თანამდებობაზე ზვიად ჯანყარაშვილს შეცვლის, რომელმაც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა, რამდენიმე თვის წინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

ნიუსპრესი

# საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სამუშაო ვიზიტით უკრაინაში იმყოფება

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, თედო ჯაფარიძე ხელმძღვანელობს, სამუშაო ვიზიტით უკრაინაში იმყოფება.

საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით დარჩიაშვილი შედიან, შეხვედრები გამართეს უკრაინის უმაღლესი რადას ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ირინა გერაშჩენკოსთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარესთან, განა გოპკოსთან, ამავე კომიტეტის წევრებთან და საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელობასთან. შეხვედრა შედგა ასევე, უკრაინის საგარეო მინისტრის მოადგილესთან ოლენა ზერკალთან.

საქართველოს პარლამენტის ცნობით, შეხვედრებისას მხარეებმა საქართველოსა და უკრაინის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, ორი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, რეგიონული უსაფრთხოების საკითხებსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრეს.

ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე. მხარეებმა დაადასტურეს საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და შესაბამის კომიტეტებს შორის კოორდინაციის მნიშვნელობაზე გამახვილდა. დაიგეგმა ორი ქვეყნის პარლამეტების კომიტეტების ერთობლივი სხდომა.

მედიანიუსი

# საქართველოს გერმანიის ბუნდესტაგის წევრი ესტუმრება

დღეს საქართველოს გერმანიის ბუნდესტაგის წევრი კრისტოფ ბერგნერი ვიზიტით ეწვევა. დაგეგმილია მისი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძესთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძესთან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძესთან.

გერმანელი ოფიციალური სტუმარი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთსაც ეწვევა, სადაც გერმანელები სახლობენ.

კრისტოფ ბერგნერი 23 იანვარს გორში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოფისს ესტუმრება. იმავე დღეს დაგეგმილია მისი შეხვედრა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ორთვინ ჰენინგთან, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძესთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილთან.

გერმანიის ბუნდესტაგის წევრი საქართველოს 24 იანვარს დატოვებს.

მედიანიუსი

# ქართულ არმიას სიძლიერით მსოფლიოში 64-ე ადგილი უჭირავს

ორგანიზაცია Global Firepower-ის მონაცემების თანახმად, რუსეთის არმია თავისი ძლიერებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებში ბირთვული შეიარაღება გათვალისწინებული არ არის და აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ არმიის ჩვეულებრივ შეიარაღებაზე, სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებაზე, მანევრირებაზე ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში.

მონაცემთა შემდგენლები მხედველობაში ღებულობენ აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ რესურსებს და მათ გეოგრაფიულ მდებარეობას. რეიტინგი დაახლოებით 50 ფაქტორით განისაზღვრება.

მესამე ადგილი უკავია ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს, შემდეგ მოდის ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი, სამხრეთ კორეა. ძლიერი არმიების ათეულს აბოლოებს იაპონიის არმია. უკრაინას 21-ე ადგილი აქვს დაკავებული, აზერბაიჯანს — 50-ე, ბელარუსს — 52-ე, საქართველოს — 64-ე, ყაზახეთს — 80-ე. სულ რეიტინგში 106 ქვეყნის არმიის რეიტინგია მოცემული.

ორგანიზაციის მონაცემებში აღნიშნულია, რომ „საქართველოს არმიის ძლიერება მნიშვნელოვნად შესუსტდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან მომხდარი ომის შედეგად“.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვის ტვინში მოიხარშა მკვლელობის ეს უზინძურესი ფორმა?

გულიკო ბალაძე

ერთი კვირის წინ იური ვაზაგაშვილის ადვოკატებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტმა დამოუკიდებელი გამოძიების დასკვნა და ზურა ვაზაგაშვილთან დაკავშირებით ახალი ფოტომასალა გამოაქვეყნეს. შემდეგ იური ვაზაგაშვილმა შვილმკვდარ მამებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

— ავარიის შემდეგ ზურა ცოცხალი იყო. მარცხნიდან ორმეტრ-ნახევრიანი კედელია. კედელი ტყვიას არ ისვრის. ცააძემ განახორციელა საკონტროლო გასროლა. ბეროძეზე რომ იძახიან, მანქანა დაეჯახა, მერე დაეცა და სასწრაფოთი წავიყვანეთო, ბეროძის ტყვიაც ამოღებულია ზურას სხეულიდან. დალაქიშვილმა და ამ პირებმა დაიწყეს სროლა, ვინც დაგისახელეთ — სადისტი ნაკანი, ფირცხალავა, გვაზავა, დარჯანია, ცააძე, ბეროძე, რაზმაძე, ჭანუყვაძე, ბჭალავა, როგორ შეიძლება გარეთ იყვნენ? ამ ადამიანებს ჩემი შვილის მკვლელობაზე 3-3 ათასი ლარის პრემია აქვთ აღებული. ფირცხალავა ქალაქში ახალგაზრდებს ხვრეტდა. მან კოკაია დააყაჩაღა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები პროკურატურაში დევს. კაცს სიმსივნე გაუჩნდა და გარდაიცვალა. ფირცხალავამ ზოგს სასტუმრო წაართვა, ზოგს შვილი მოუკლა. ეს საქმეებიც პროკურატურაში დევს, — განაცხადა მაშინ პრესკონფერენციაზე იური ვაზაგაშვილმა.

სხვათა შორის, ფირცხალავა იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგაც დაასახელეს, რაზეც ფირცხალავამ განაცხადა, რომ გამოძიების შედეგების გამოქვეყნებამდე ამგვარი ბრალდებებისაგან ყველას თავი შეეკავებინა.

იური ვაზაგაშვილი ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამუშაო შეხვედრებს მართავდა საზოგადოების წარმომადგენლებთან, დიდ სახალხო მოძრაობას ქმნიდა სამართლიანობის აღდგენისთვის.

— 22 წლის ბავშვს ტვინი ცალკე ჰქონდა, თავი — ცალკე. მისი მკვლელობა საკონტროლო გასროლებით მოხდა. ამას თვითმხილველებიც ამტკიცებენ. მივმართავ პრემიერს, სასწრაფოდ მოსთხოვოს მის ხელისუფლებას, ემსახურონ ჩვენს ქვეყანას. გამოძიება არ მიმდინარეობს, მკვლელებს მფარველობენ. დალაქიშვილი მოხსნეს, ნიკა სამარღანაშვილი დარჩა. ორი ძმაა სამარღანიშვილი, ორივე გარეულია ყველა მკვლელობასა და სიბინძურეში. რამდენიმე დაჯგუფებაა — ფირცხალავას დაჯგუფება, გვაზავას დაჯგუფება, რომელიც ახლა „პოლიციელთა ლიგაშია“. ჩატარებულ ექსპერტიზაში წერია, რომ მარცხენა მხრიდან არის ნასროლი. ექსპერტს უწერია, რომ თავის ნატყვიარს ვერ პოულობს, ვინაიდან თავის ტვინის ნაწილები გვამთან ერთად არ არის. მეტირა დაეწერა იმ დროს, როცა ვიცი, რომ ვანო მერაბიშვილი იბარებდა და ეუბნებოდა, ექსპერტიზა გაეყალბებინა. სროლებისა და ბოძზე დაჯახების შემდეგ, ზურა ცოცხალი იყო. ნახაზი არის, ზუსტად როგორ იყვნენ განლაგებული მანქანები სამანქანე გზაზე. ზურა იდგა მეოთხე რიგში და საცობში იყო გაჩერებული. ერთი მხრიდან მიდის ცააძე, მეორე მხრიდან — დალაქიშვილი, შემდეგ ბეროძე და რაზმაძე. თვითმხილველები არსებობენ. ჩვენებებია მიცემული, ვინ შემოუარა ზურას მანქანას და დაუმიზნა, — აცხადებდა იური ვაზაგაშვილი.

ერთი კვირის წინ იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. ის შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი იყო. მას საიდუმლო ინფორმაცია ჰქონდა, რომ ერთ კვირაში ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე დამნაშავეებს დაპატიმრება იყო დაგეგმილი. თუმცა, ის ამას ვერ მოესწრო, მკვლელებმა ის შვილის საფლავზე მოკლეს.

◆ ◆ ◆

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“



ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ მომხდარი არ არის მხოლოდ იმ ოჯახის ტრაგედია. მოხდა უსასტიკესი ტერაქტი. ამის შესახებ მან პორტალ „კვირის“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან ისაუბრა.

— ჩვენ ამ უზნეო აქტში ვაჯობეთ მთელ მსოფლიოს. საკუთარი შვილის საფლავს დააკლეს მამა, რომელიც შვილის მკვლელობის დღიდან იბრძოდა მკვლელობის ფაქტის ობიექტური გამოძიებისთვის. ბატონმა იურიმ ტერაქტამდე ერთი კვირით ადრე მტკიცებულებები გამოაქვეყნა, რის შემდეგაც ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, მისი შვილის მკვლელები დაეპატიმრებინა. ის ძალიან აჟიტირებული იყო, რომ ძალიან მალე მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიება დასრულდებოდა და სხვა, ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების საქმეების გამოძიებაში ჩაერთვებოდა. ზურას საქმე უნდა გამხდარიყო დანარჩენი საქმეების გამოძიების მასტიმულირებელი. მას დოკუმენტები უნდა გადაეცა პროკურატურისთვის.

***— დოკუმენტების გადაცემა მოასწრო?***

— ჩემი აზრით, მოასწრო. ალბათ, ამ დოკუმენტების ასლები ინახება. ის ასახელებდა კონკრეტულ სახელებსა და გვარებს (ახლა მე თავს შევიკავებ დასახელებისაგან. თუმცა, პრესაში გაჟონა რამდენიმე გვარმა) და აცხადებდა, ამ ადამიანებს ერთ კვირაში დააპატიმრებდნენ. დაკრძალვის შემდეგ მთელი საზოგადოება ხელისუფლება მოსთხოვს იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მას გააჩნია.

***— ვინ შეიძლება იყოს ეჭვმიტანილი ამ საქმეში?***

— ალბათ, ის ადამიანები, ვის დაპატიმრებასაც იური ვაზაგაშვილი მოითხოვდა ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე. თუმცა, სანამ გამოძიება თავის სიტყვას არ იტყვის, მტკიცებულებითი საუბარი ძალიან ძნელია. ინტერესი იმისა, რომ იური ვაზაგაშვილი არ ყოფილიყო ამქვეყნად, ძალიან ბევრს ჰქონდა, მაგრამ უშუალოდ ვინ ჩაიდინა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს. როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილს ერთი კვირის წინ შეხვდა, ხოლო ჭიკაიძესთან შეხვედრა მგონი, ვერ მოახერხა.

***— თქვენთვის ხომ არ არის ცნობილი, ბიძინა ივანიშვილთან რაზე იყო საუბარი?***

— ვიცი, რომ მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით შეხვდა. შემდეგ რაზე შეთანხმდნენ, ჩემთვის უცნობია. ეჭვია, რომ ეს შეხვედრა და მასალების არსებობა გახდა მიზეზი. ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრით ძალიან კმაყოფილი იყო.

***— ოჯახის წევრებმა იური ვაზაგაშვილის მკვლელობასთან ირაკლი ფირცხალავა დააკავშირეს. მან კი განცხადება გააკეთა, რომ გამოძიების შედეგების დადებამდე კონკრეტული ბრალდებებისაგან ყველამ თავი შეიკავოს. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?***

— მე პირადად არც ერთი გვარი არ დამისახელებია, რომ შემდეგ ვიღაცამ არ გამოიყენოს, თითქოს გამოძიებაზე გარედან ხდებოდა ზეწოლა. ამ გვარის გარდა კიდევ სამი გვარი იყო დასახელებული. გამოძიება უნდა დაინტერესდეს იმ ადამიანებით, რომლებსაც ბატონი იური ასახელებდა.

***— თქვენ თუ გაქვთ კითხვები გამოძიებასთან დაკავშირებით?***

— კითხვები მაქვს ხელისუფლებასთან, რატომ გახდა საჭირო იური ვაზაგაშვილის მხრიდან გამოძიების ჩატარება და რატომ არ აკეთებდა ამას ხელისუფლება? რატომ არ არის გახსნილი გახმაურებული საქმეები, მათ შორის, გირგვლიანის საქმე? ადამიანებს გაუჩნდათ შიში. შვილმოკლული ადამიანები ამბობენ, რომ ახლა მათი რიგიც დადგა. ენუქიძე და იური ვაზაგაშვილი მოკლეს, სხვა მშობლები ამბობენ, შემდეგ ჩვენ ვიქნებითო. ასეთი დიდი უზნეობა არ გამიგია — მამა საკუთარი შვილის საფლავზე დააკლეს. საინტერესოა, მკვლელობის ეს უსასტიკესი და უბინძურესი ფორმა ვის ტვინში მოიხარშა?

◆ ◆ ◆

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგლა აგულაშვილი ამბობს, რომ გამოძიება ძალიან ახლოს იყო ზურა ვაზაგაშვილის საქმის დამთავრებასთან.

**გიგლა აგულაშვილი:**

— გამოძიება მიდიოდა ლოგიკურ დასასრულამდე. იური ვაზაგაშვილს, ფაქტობრივად, რკინის ქალამნები ეცვა, რომ სიმართლე ეპოვა და დამნაშავეთა მიმართ მართლმსაჯულება აღსრულებულიყო. ის მოიშორეს იმ ადამიანებმა, ვინც ელოდებოდა საფრთხეს მართლმსაჯულებისაგან, რადგან იური ვაზაგაშვილი არ აპირებდა შეგუებოდა ვინმეს უმოქმედობას. ყველაზე მეტად შეიძლება ეს ვერსია განიხილებოდეს, მაგრამ გამოძიება არ უნდა წავიდეს მხოლოდ ამ მიმართულებით. ყველა შესაძლო ვერსია უნდა შეფასდეს. არიან ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ, მიეცათ ჩვენებები. იმ ადამიანებს, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს აღნიშნული დანაშაული, უნდოდათ, მხილების ჯაჭვი გაწყვეტილიყო და მათამდე არ მისულიყო. ამით ისინი შეეცადნენ, მართლმსაჯულებისაგან თავი დაეღწიათ. არანაკლებ ცუდ საქციელს სჩადიან ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, დაიწყონ სპეკულაციები. ამგვარ ფაქტებს ცივი გონებით შეფასება სჭირდება. ვფიქრობ, ყველა კითხვას პასუხს გასცემს გამოძიება.

გიგლა აგულაშვილი იური ვაზაგაშვილის მიმართ განხორციელებულ ფაქტს აფასებს, როგორც განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში, რომელიც შეიძლება ჩადენილი იყოს პირთა ჯგუფის მიერ.

— საქმე გვაქვს მომზადებულ ადამიანთან, შეიძლება პროფესიონალთანაც. თუ ის ვერსია მართალია, რომ ყვავილების გამოცვლის დროს მოხდა აფეთქება, დამნაშავეები უნდა ვეძებოთ უფრო ინფორმირებულ, მომზადებულ, პროფესიონალთა კატეგორიაში, — მიაჩნია გიგლა აგულაშვილს.

არის ინფორმაცია, რომ კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში, სადაც მოხდა იური ვაზაგაშვილის აფეთქება შვილის საფლავზე, გასვენებაში იმყოფებოდნენ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც. კითხვაზე, რაიმე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თუ არა ამ ფაქტს, გიგლა აგულაშვილი პასუხობს, რომ ის კენჭებს ყოფილი ხელისუფლების მხარეს არ ისვრის.

— პარლამენტში არაერთხელ გყავდათ მიწ-



ვეული შს მინისტრი ჭიკაიძე და მისი მოადგილეები. იური ვაზაგაშვილი ხშირად მართავდა პრესკონფერენციებს და ასახელებდა გვარებს, როგორც მისი შვილის საქმეში მკვლელობის მონაწილეებისას და შს ორგანოებში კვლავ იჭერდნენ გარკვეულ თანამდებობებს. ის შს მინისტრს სთხოვდა მათ გათავისუფლებას. მინისტრს ან მის მოადგილეს თუ ჰკითხეთ, რა პრობლემასთან იყო დაკავშირებული ამ სახელშელახული თანამშრომლებიც გათავისუფლება?

— მე პირადად არ მქონია შეხება არც ამ საქმის გამოძიებასთან, არც შს მინისტრთან. ამიტომ შს მინისტრი იქნება ის თუ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მართლწესრიგის მდგომარეობაზე, მათ მოუწევთ პასუხის გაცემა, მით უმეტეს, თუ დადასტურდება, რომ ნახსენები გვარები რაიმე შემხებლობაში არიან ან ამ დანაშაულთან, ან მანამდე ჩადენილ დანაშაულთან.

◆ ◆ ◆

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია აცხადებს, რომ იური ვაზაგაშვილის ყველაზე დიდი მტერი „ნაციონალური მოძრაობა“ იყო და ის 2006 წლიდან არა მარტო შვილის მკვლელებს, არამედ უკვე მთლიანად რეჟიმს ებრძოდა.

**ნუკრი ქანთარია:**



— იური ვაზაგაშვილმა თვითმიზნად უსამართლობასთან ბრძოლა გაიხადა და ამას შეეწირა კიდეც. ეს იყო ტერორისტული აქტი. ბატონი იურის ლიკვიდაცია მოხდა. ეს ალბათ დაგეგმილი აქტი იყო, ხოლო ის, თუ სად, როდის და როგორ დაიგეგმა, უსწრაფესად უნდა დადგინდეს. ბატონი იურის ყველაზე დიდი მტერი „ნაციონალური მოძრაობა“ იყო. ის 2006 წლიდან არა მარტო შვილის მკვლელებს, არამედ უკვე მთლიანად რეჟიმს ებრძოდა. მან თვითმიზნად უსამართლობასთან ბრძოლა გაიხადა და ამას შეეწირა კიდეც. ეს შესაძლოა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაგეგმილიყო. გამოძიების კვალი უკვე შემსრულებლებისკენ მიდიოდა. უახლოეს ხანში მათთვის ბრალის წაყენება უნდა მომხდარიყო და მათ დაასწრეს. ეს არის დარტყმა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს არის დარტყმა ჩვენს საზოგადოებაზე. ავტორებმა და შემსრულებლებმა ადეკვატური პასუხი უსწრაფესად უნდა მიიღონ. შესაძლოა, ეს პოლიტიკური მკვლელობა იყოს.

## გიორგი კობახიძე პოლიტიკიდან წავიდა

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიორგი კობახიძე პოლიტიკიდან წავიდა. მან ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, ასეთი გადაწყვეტილება შვილის, ირაკლი კობახიძის „ქართული ოცნების“ პარტიაში აღმასრულებელი მდივნის თანამდებობის შესაძლო დანიშვნას უკავშირდება.

„ეს გადაწყვეტილება ძალიან მახარებს. ჩემი შვილის მიმართ ჯერ მხოლოდ შეთავაზებაა. იმედი მაქვს, პოლიტიკური საბჭო ამ გადაწყვეტილებას მიიღებს და ირაკლი კობახიძე შეთავაზებულ თანამდებობას დაიკავებს. ეს კი გარკვეული ვალდებულებების წინაშე მაყენებს. ადამიანური, პოლიტიკური და ყველა ნორმისა და ეთიკის დაცვის მომხრე ვარ და მივიღე გადაწყვეტილება, პოლიტიკას ჩამოვშორდე. ჩემი საქმიანობა სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე ექსპერტობა იქნება“, -— განაცხადა გიორგი კობახიძემ.

მედიანიუსი

## სახალხო დამცველმა დეკემბრის თვის საქმიანობის ანგარიში წარადგინა

სახალხო დამცველმა №11 საინფორმაციო ბიულეტენი წარმოადგინა, რომელშიც დეკემბრის თვის საქმიანობაა ასახული.

ომბუდსმენის პრესსამსახურის ინფორმაციით, მომზადდა 10 დეკემბრის ანგარიში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ, რომელიც 2014 წელს მიმოიხილავს; გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიშები სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებში არსებული მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი16 რეკომენდაცია და წინადადება გაიგზავნა; ასევე, სხვა არაერთი ანგარიში, პრეზენტაცია და შეხვედრა მომზადდა.

ნომერში ძირითად თემად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე აღინიშნა.

„10 დეკემბერი არის მინიშნება, რომ ადამიანის უფლებები ყველაფერზე მაღლა დგას და თითოეული ადამიანის უფლების და თავისუფლების გარეშე არ არსებობს არც უსაფრთხოება, რომ სწორედ ადამიანია უმაღლესი ღირებულება და ყოველდღე უნდა ვიყოთ უკომპრომისონი შეუწყნარებლობის, ძალადობის, ქსენოფობიის, დევნისა და დისკრიმინაციის გამოვლინებებისადმი“, — განაცხადა სახალხო დამცველმა თავის გამოსვლაში.

ბიულეტენში ასევე ინფორმაცია სახალხო დამცველის 10 დეკემბრის მოხსენების შესახებაცაა, რომელიც მან დიპლომატიურ კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს წარუდგინა. .

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# სიკვდილამდე 4 დღით ადრე იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

## ია მეტრეველი: „იურას ბევრი ახალი ინფორმაცია ჰქონდა“

ნონა ცაბაძე

საზოგადოება შოკირებულია იმ ფაქტით, რაც 20 იანვარს კასპის რაიონში მოხდა. ზურაბ ვაზაგაშვილის მამა — იური ვაზაგაშვილი, საკუთარი შვილის საფლავს დააკლეს. ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

„ახალი თაობა“ მომხდართან დაკავშირებით ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველს, ესაუბრა.

***— ქალბატონო ია, მესმის, თქვენთვისაც როგორი მძიმეა, მხარდამხარ იბრძოდით მოკლული შვილების მშობლები. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე, რა ახალი უბედურებაა ჩვენს თავს?!***

— ჩვენს თავს არის მართლაც უბედურება, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ ძლიერია, ისევ ადგილებზე არიან, თანამდებობებზე არიან. სწორედ ეს არის ის უბედურება, რომ დროულად არ მოხდა მათი მოშორება თანამდებობიდან და ბატონი იურა გვარებს ასახელებდა იმ დამნაშავეებისას, რომლებიც ჯერ კიდევ თანამდებობებზე იყვნენ. ამდენ ხანს ვერ მოხერხდა ის, რომ საზოგადოებისთვის საშიში კრიმინალები მოეშორებინათ თანამდებობებიდან და დროულად ყოფილიყვნენ დასჯილნი. იქამდე მივიდა ყველაფერი, რომ აქეთ გვხოცავენ ეს კრიმინალები. სიმართლეს დააკლეს ადამიანი. ათი წელი სიმართლეს ეძებდა და საკუთარი შვილის საფლავზე დააკლეს თვითონაც ამ სიმართლეს.

***— რისი თქმა სურდათ ამის ჩამდენებს?***

— ეს განზრახ გაკეთებულია! ეს არის ხელისუფლების შეშინებაც, სწორედ ამ ნარჩენი ნაციონალებისგან, რომ ჩვენ კიდევ ძლიერები ვართ და ფრთხილად იყავითო და ასევე ეს იყო ჩვენი შეშინება და ჩვენი გაფრთხილება! ვინ იქნება შემდეგი, მე თუ კიდევ სხვა, ეგ უკვე არავინ აღარ იცის! ჩვენი სასამართლოები არის უკვე დაწყებული და თებერვალში გრძელდება და ალბათ, ეს იყო სიგნალი ჩვენთვისაც, რომ თუ არ გაჩერდებით და ჩუმად თუ არ იქნებით, ეს დღე გელოდებათო. დღისით, მზისით, მაშინ, როცა საფრანგეთში ვაპროტესტებთ ტერორიზმს, ჩვენს ქვეყანაში ხდება ასეთი ტერაქტი. ამაზე მეტი საშინელება რა უნდა მოხდეს?! ის, რაც ვერ გაბედეს ნაციონალური მოძრაობის მთავრობის დროს, გაბედეს ახლა! იმიტომ, რომ მშვენივრად გრძნობენ თავს! ძალიან თავისუფლად არიან და ყველაფრის უფლება აქვთ მიცემული და ეს ყველაფერი მაგის ბრალია! ვიდრე არ მოკლეს კაცი, მანამდე არ მიიღეს ზომები და დროულად არ იყვნენ აყვანილნი ის მკვლელები! ყველას სახელს და გვარს პირდაპირ და ღიად ასახელებდა და მეტი რაღა უნდა ექნა?! დამნაშავეები კი კვლავაც თანამდებობებზე იყვნენ!

***— საკმაოდ სერიოზული ინფორმაციები ჰქონდა გარდაცვლილ იური ვაზაგაშვილსო...***

— დეტალები არ იყო ჩემთვის ცნობილი, თუმცა სულ ვადევნებდი თვალს და ისეთი ფაქტები და ახალი მასალები ჰქონდა ბატონ იურას, რომ პირდაპირ გვარებს ასახელებდა და ამბობდა, რომ ძალიან მალე ამ პირებს დაიჭერენო. ზუსტადაც ეს ყველაფერი მოჰყვა მაგას, მის აქტიურობას. დიახაც, ძალიან ბევრი ინფორმაცია ჰქონდა ბატონ იურას და უკვე ყველაფერი ბოლოსკენ იყო გასული. გამოძიებაც დასასრულს უახლოვდებოდა და ამიტომაც მოახდინეს ეს ყველაფერი. ეს არის სიგნალი ახალი ხელისუფლების მიმართ, რომ თქვენ ხართ სუსტები და ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერები ვართ. ასევე გადაწყვიტეს ჩვენი შეშინება, იმ ხალხის, ვინც ვერ შეგვაშინეს და ამდენ ხანს ვიბრძოდით. ბატონი იურა, რომელსაც მთელი ათი წელიწადი თავი არ დაუზოგავს და ასევე ახალი ხელისუფლების მოყვანაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, მედგრად და შეუპოვრად იბრძოდა ეს ადამიანი და აი, რა გააკეთეს ახალი ხელისუფლების პირობებში. იმის მაგივრად, რომ კრიმინალები ამ დრომდე დასჯილები ყოფილიყვნენ, ჩვენ თავებს აკვლევინებენ კიდევ! არ ვიცი, რა ვთქვა, ამაზე მეტი საშინელება რაღა უნდა მოხდეს?!

***— ეს ყველაფერი ხელისუფლების სისუსტის ბრალია?***

— სისუსტის ბრალია, აბა, არ გამოდის სისუსტის ბრალი?! ამდენი ხნის განმავლობაში არ უნდა აეყვანათ დამნაშავეები?! კაცი რომ ამდენი ხანი გვარებს ასახელებდა, ამდენი ხანი ესენი გარეთ უნდა დადიოდნენ?! საზოგადოებისთვის ძალიან საშიშნი არიან და ჯერ კიდევ არ ვიცით, რას გვიზამენ! ხელისუფლებამ ახლავე, სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები, თორემ ძალიან ძლიერდებიან ნაციონალები და თვითონ მთავრობას შეუქმნიან სერიოზულ პრობლემებს. ყველა სტრუქტურიდან დროულად მოაშორონ ნაციონალები! გავსებულია სამინისტროები იმ ხალხით, რომლებიც რეჟიმს აძლიერებდნენ და რას არ აკეთებდნენ ხალხის საწინააღმდეგოდ, ისინი ისევ ადგილებზე რჩებიან ჩვენს ქვეყანაში. ქვედა რგოლებია თუ პატარა თანამდებობები, ძალიან კარგად არიან სუყველა და კვლავაც ძირს უთხრიან ჩვენს ქვეყანას და ამ ხელისუფლებასაც! ვინმეს თუ მოხსნიან, მაშინვე ტყდება ერთი ამბავი, არიქა, პოლიტიკური ნიშნით მოხსნეს, ისე ეფერებიან ამ დამნაშავეებს, თითქოს მათი ეშინიათ.

***— ვაზაგაშვილის საქმეზე ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ გარიგებაში იყვნენ ამჟამინდელ ძალოვან უწყებებთან დამნაშავეები და ისინიც ხელს აფარებდნენო...***

— მე მაგის დადასტურება არ შემიძლია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ აგერ დღისით, მზისით კაცი მოკლეს. დააკლეს შვილის საფლავს!

***— როგორია თქვენი მოთხოვნები? საუბარია, რომ დაიწყება სერიოზული გამოსვლები და საპროტესტო აქციები...***

— ჩემი მოთხოვნა ის არის, რომ ახლა მაინც მოეგოს ხელს ხელისუფლება და სასწრაფო ზომები მიიღოს! სასწრაფოდ იქნეს გამოძიებული ზურას საქმეც, ჩვენი საქმეებიც! ერთი და იგივე მკვლელები არიან ჩვენთანაც, ვაზაგაშვილთანაც და გირგვლიანთანაც და ეს მკვლელები დღემდე გარეთ დადიან! დროულად იყვნენ აღკვეთილი და დროულად მიეგოთ ის, ვისაც რა ეკუთვნის! საზოგადოებისთვის საშიში კრიმინალები დროულად უნდა იყვნენ დაპატიმრებულნი, აი, ამას მოვითხოვთ და ეს შემთხვევაც უსწრაფესად უნდა იქნეს გამოძიებული.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში რა იქნება? შეიძლება ამ ყველაფერს გადაჰყვეს ახალი ხელისუფლება?***

— მე ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ დროულად მოხდეს ამ საქმეების გამოძიება და ვინ რას გადაჰყვება, ამას ვერ გეტყვით!

◆ ◆ ◆

**აი, რას ამბობს ბუტა რობაქიძის მამა, სოსო რობაქიძე:**

— მომხდარზე პასუხი უნდა აგოს დღევანდელმა მთავრობამ, რადგან თითოეული მოქალაქე დაუცველია! იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ტერორისტული აქტია, რომლის დროსაც ის საკუთარი შვილის საფლავზე ნაღმზე ააფეთქეს. შეიძლება მამას საკუთარი შვილის საფლავზე მისვლის ეშინოდეს? ეს იმიტომ ხდება, რომ არ დაისაჯა რეჟიმი, არ დაისაჯა სააკაშვილი! ჩვენ ამას სულ ვამბობდით, ჩვენ ვიცით, ეს ხალხი ვინ არის. თუ ყველა ფეხზე არ დადგა, შემდეგ, დამიჯერეთ, შეიძლება ჩემი რიგი იყოს, შემდეგ კიდევ სხვისი! უნდა აღდგეს სამართლიანობა! ისე კი არა, უკრაინაში მინისტრებად რომ უშვებენ! ეს არავის შერჩება! იური ვაზაგაშვილს სიკვდილის არ ეშინოდა. არც მე არ მეშინია სიკვდილის და ვერავინ შეგვაჩერებს! უარესი მოხდება, თუ კანონი არ იქნება, პირადად დავსჯით ყველას!

***— ვის და რატომ დაჭირდა მისი მკვლელობა?***

— ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებები იყო. იყო ბევრი ისეთი რაღაც, რომლითაც კვალი ცუდ ადგილას მიდიოდა და იმ ნულოვანი ტოლერანტობის და რეპრესიების, რაც საქართველოში მოხდა, ამ ყველაფრის შეფასება იწყებოდა. ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს! ჩვენ არ გავჩუმდებით! ფირცხალავასნაირი დამნაშავეები რომ გარეთ დადიან, ამიტომ ხდება ასეთი საშინელებები.

***— მართალია გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა?***

— მე ვადასტურებ ამ ინფორმაციას. იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს ოთხი დღის წინ შეხვდა.





# ზაზა დავითაია: ზურა ვაზაგაშვილის საფლავს მამამისთან ერთად სამართლიანობაც დააკლეს“

შორენა მარსაგიშვილი

**იური ვაზაგაშვილის მკვლელობას საზოგადოების ნაწილი მოქმედი ხელისუფლების უმოქმედობას აბრალებს. ამ მოსაზრებას იზიარებს უფლებადამცველი, ყოფილი პოლიტპატიმარი, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ზაზა დავითაია. რაში გამოიხატება ხელისუფლების ბრალეულობა და რა მოჰყვება ამ საშინელ დანაშაულს, ამ თემებზე ზაზა დავითაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

***— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა გახმაურებული საქმის გამოძიებას ველოდით. გვპირდებოდნენ, რომ სხვებთან ერთად ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობასაც გამოიძიებდნენ. საქმის გამოძიების ნაცვლად ზურას საფლავზე მამამისი, იური ვაზაგაშვილი დააკლეს. რა ხდება?***

— სიტუაცია არის კატასტროფული. ჩვენ თუ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ დემოკრატია კანონის უზენაესობას ნიშნავს. ლიბერალიზმი ძალიან კარგია, ოღონდ კანონის ფარგლებში. ხოლო თუ ის დამნაშავეების მფარველობაში გადადის, ლიბერალიზმი იმაზე დიდი დანაშაულია, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტი.

***— თქვენ მომხდარს ლიბერალიზმს აბრალებთ?***

— ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება იმაზე მეტ დანაშაულს სჩადის, ვიდრე ეს ნაცებმა ჩაიდინეს. დღევანდელი ხელისუფლება მფარველობის იმ ტერორისტებს, რომლებიც დღემდე ებრძვიან ქართველ ხალხს. აქამდე სულიერ და ეთიკურ ტერორს მიმართავდნენ, ქუჩებში გვხვდებოდნენ და ფიზიკურად გვისწორდებოდნენ. ახლა ისე გათავხედდნენ, რომ ადამიანები აფეთქება დაიწყეს. სამართალი რომ აღედგინათ, ამას ვერავინ გაბედავდა. ამით გაბედეს და ამაში მათ ხელს [illegible] ძალებიც უწყობენ. [illegible] სახალხო აჯანყებამდე უნდა მივიდეს საქმე.

***— სხვა გამოსავალი არ არის?***

— თუ ამაზე თავი დავღუნეთ, ჩათვალეთ რომ ჩვენი საზოგადოება თავისუფალი ვერასდროს ვერ გახდება. ეს არის ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევა. 20 იანვარს მარტო იური ვაზაგაშვილი არ მოუკლიათ. ეს იყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტი. რასაც საზოგადოებამ ადეკვატურად უნდა უპასუხოს.

***— ადეკვატურ პასუხში რას გულისხმობთ?***

— ტერაქტის შემოქმედი არ უნდა დაინდო. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერორი გაგრძელდება. ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ამ საშინელებას. ტერაქტის შემოქმედი ნებისმიერი საშუალებით უნდა გაანეიტრალო. ეს ხელისუფლების ვალია, მაგრამ ხელისუფლებამ თუ უარი თქვა ამის გაკეთებაზე, მაშინ საზოგადოება თავად დაამყარებს წესრიგს.

იური ვაზაგაშვილი იყო სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი. ის ამ რეჟიმთან ბრძოლის კლასიკური სიმბოლო გახლდათ. მისი მკვლელობა მთელი საზოგადოების ტრაგედია უნდა გახდეს. სამწუხაროდ ჩვენ შევეჩვიეთ საშინელებებს და მოვლენებს მძაფრად ვეღარ აღვიქვამთ. ადამიანი, რომელიც რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა, შვილის საფლავზე დააკლეს. ხელისუფლებამ თუ ეს საქმე უსწრაფესად არ გამოიძია, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სამართალი საფლავზე დააკლეს. ხელისუფლებამ თუ ამ საქმის დამკვეთები და შემსრულებლები არ დასაჯა, ისიც ამ ტერაქტის თანამონაწილე იქნება.

ხელისუფლებამ ისედაც ჩაიდინა დანაშაული, როდესაც ნაცმოძრაობას თავისი სახელი არ დაარქვა და დანაშაულებრივ ორგანიზაციად არ შერაცხა. ხელისუფლებამ დააშავა, როდესაც ეს პარტია არ აკრძალა და მისი ლიდერები არ დააპატიმრა. სწორედ ამან გააჩინა ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი. იური ვაზაგაშვილი სწორედ დაუსჯელობის სინდრომის მსხვერპლია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის იმავე ძალებმა მოკლეს, რომლებიც 9 წლის მანძილზე ტყვიას ესროდა ქართველ ხალხს.

***— გამოძიების დასრულებამდე ნაადრევი ხომ არ არის ამის თქმა?***

— მე პირდაპირ ვიშვერ ხელს ნაცმოძრაობისკენ.

***— თავის დროზე საზოგადოება გაგებით რომ არ მოჰკიდებოდა კოაბიტაციას, საქმე აქამდე მივიდოდა?***

— საზოგადოება კოაბიტაციას გაგებით არ უნდა მოჰკიდებოდა, მაგრამ საზოგადოებამაც რა ქნას. საზოგადოება არის მოტყუებული.

***— რატომ მოტყუვდა?***

— საზოგადოების მოტყუება იოლია, თუკი ძლიერნი ამა სოფლისანი შემუშავებული ტაქტიკით მოქმედებენ და დრო გაჰყავთ. როცა ორთქლი გამოვა და ცხელი განწყობა განელდება, მაშინ უკვე ადვილია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით ახსნა გარკვეული ზომების გაუტარებლობა. დამნაშავის დაუსჯელობა ძალიან ცუდად შემოუტრიალდება ამ ქვეყანას. ცუდად მოუბრუნდება. ცუდს თუ ცუდი არ დავარქვით, ქვეყანაში კარგზე და პოზიტივზე ვერ დაიწყება საუბარი. თუ ცუდს ცუდი არ დაერქვა, ვერასდროს ვერ ავაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს.

***— რატომ არ დაარქვა ხელისუფლებამ ცუდს ცუდი?***

— იმიტომ რომ ამ ხელისუფლებას იგივე ხალხი აძლევს დირექტივებს, რომლებიც წინა ხელისუფლებას კარნახობდნენ, როგორ ემოქმედათ. ამ ხელისუფლების შინაგან მრწამსს ძალაუფლების წყაროდ ქართველი ამომრჩეველი არ მიაჩნიათ. მათთვის მთავარი დასავლეთში არსებული ძალებია, რომელთა მონდომების გარეშე ქვეყნის სათავეში ვერცერთი ძალა ვერ მოვა.

***— ეს ხომ ასეც არის?***

— ასე არის, მაგრამ ქართველ ხალხს ახასიათებს ერთი მკვეთრად დამახასიათებელი თვისება. შეიძლება ძალიან ბევრი რამ მოვითმინოთ, შეიძლება ბევრი რამ „გავატაროთ“, მაგრამ წყობიდან გამოსული საზოგადოება ისეთ ნაბიჯზეა წამსვლელი რასაც ბახტრიონის აჯანყება ჰქვია. შესაძლოა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა არის ბოლო წვეთი. შესაძლოა მოთმინების ფიალას კიდევ რამდენიმე წვეთი აკლია. ამიტომ სულში ნუ ჩაგვაფურთხებენ. თორემ გამძვინვარებული ქართველი ხალხი აღარ დაინდობს, არამცთუ ნაცებს, არამედ მათ მფარველებსაც. სასამართლო მაინც შედგება. და განსასჯელის სკამზე ძველი რეჟიმის გვერდით მათი მფარველებიც აღმოჩნდნენ. თუ ეს არ უნდათ, მაშინ კეთილი ინებონ და ნაცები დამნაშავე ორგანიზაციად გამოაცხადონ. როგორც უკვე ვთქვი, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ბოლო წვეთი შეიძლება აღმოჩნდეს.



# ჯემალ გუნდიშვილი: იური ვაზაგაშვილის შემზარავი მკვლელობა კანონზომიერია არსებულ პირობებში“

მარიკა მჭედლიშვილი

**ყოფილი პოლიტპატიმარი ჯემალ გუნდიშვილი მიიჩნევს, რომ სამართლიანობისათვის აქტიურად მებრძოლი იური ვაზაგაშვილის თავზარდამცემი მკვლელობა არ არის ძალიან მოულოდნელი იმ პირობებში, როცა „ქართული ოცნება“ არაფერს აკეთებს სამართლიანობის დასამყარებლად. იგი არ გამორიცხავს, რომ იური ვაზაგაშვილის ბედი სხვებმაც გაიზიარონ. ამ სიტუაციაში აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. „ახალი თაობა“ ჯემალ გუნდიშვილს ესაუბრა**

**ჯემალ გუნდიშვილი:**

— იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გამო შოკში ვართ ყველანი. ეს სულის შემძვრელია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მომხდარი საშინელება კანონზომიერია.

*— რატომ?*

— ეს კანონზომიერია არსებული მძიმე და უსამართლო რეალობიდან გამომდინარე. აბა, სხვას რას ველოდით, როცა ხელისუფლებამ უარი თქვა სამართლიანობის აღდგენაზე? მაგალითად, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უსუფაშვილის თამადობით სახალხოდ გამოაცხადა, სამართალი არ აღდგება, იმიტომ, რომ ძვირიაო. ეს არის არა მარტო მიუღებელი განცხადება, არამედ კანონის დარღვევა. ცნობილია, რომ დანაშაულის დაფარვა სისხლის სამართლით ისჯება.

*— დანაშაულის დაფარვაში გულისხმობთ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე თვალის დახუჭვას?*

— დიახ. „ქართულ ოცნებას“ უამრავ საქმეზე არ დაუსჯია დამნაშავეები, არ გამოუძიებია დანაშაულები, არ გადაუსინჯავს გაყალბებები. ნაციონალურმა მოძრაობამ აკეთა ძალიან ცუდი. ახლანდელი ხელისუფლება ამას ხელს აფარებს. ამიტომ, ყარაფილაში მომხდარ შემზარავ დანაშაულზე, ისევე, როგორც სხვა მოვლენებზე, პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ ხელისუფლებას. ეს იყო ქვეყანაში გამეფებული დაუსჯელობის შედეგი. ამის შედეგია ის ნეგატიური კამპანია, რომელიც გაიშალა სხვადასხვა წრესა და ფორუმებზე.

*— რას გულისხმობთ?*

— უზნეო ალიაქოთია ატეხილი იური ვაზაგაშვილზე. აგორებულია კამპანია, რომელიც ნერგავს აზრს, თითქოს ის ცუდი კაცი და ლამის ნარკოტიკების „ბარიგაც“ კი იყო. თუმცა, ამ ხალხისაგან სხვას რას ველოდით? სამართლის დამკვიდრება ძვირი ყოფილა. მერე რა, რომ ამდენი საქმეა განსახილველი! არსებობს ბევრი მასალა, გარემოება. არიან მოწმეები, თვითმხილველები. მტკიცებულებების შეგროვება ადვილია. მაგრამ არაფერი არ კეთდება. მათი საჭიროება არ არის. ამიტომ, გამოცხადდა ნადირობის სეზონი. ამ სიტუაციაში ბევრი დაზარალებული იძულებულია, თვითონ ეძებოს სამართალი. ეს იციან. ამიტომაც, პარლამენტი მალე მიიღებს კანონს შუღლის გაღვივების წინააღმდეგ. ეს ჩაკლავს აქტიურობას. დაზარალებული კი უამრავია. თუნდაც, ჩვენი, „ყინწვისის“ საქმის მონაწილეები, ასევე ისინი, ვისაც ქონება, ბიზნესი წაართვეს, ვისი ცოლ-შვილიც მძევლად აიყვანეს და გამოსასყიდი მოსთხოვეს. ფაქტობრივად, არავინ დასჯილა. კარგად იცოდნენ, სად იმყოფებოდა სააკაშვილი, მაგრამ მასზე რატომღაც შიდა ძებნა გამოგვიცხადეს. ახლა წუწუნებენ, ყოფილი ხელისუფლების კადრებს უკრაინაში რატომ ნიშნავენო!

*— თუ დამნაშავეებად არ მიაჩნიათ, არ უნდა შეიცხადონ მათი დანიშვნა?*

— თუ ნაციონალები დამნაშავეები არ ყოფილან, არაფერზე პასუხი არ მოეთხოვებათ, რატომაც არ უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობებზე? ახლა გამოვლენ ცალკეული პარტიები და იაქტიურებენ. ზოგიერთი პარტიის მიმართ შეიძლება სიმპათიაც მქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველამ უნდა დაივიწყოს პარტიული ინტერესები. უნდა დაიწყოს ინტერპარტიული და საერთოსახალხო მოძრაობა. ეს ხალხი უნდა მოვაშოროთ ხელისუფლებას. უნდა მივაღწიოთ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. რიგგარეშე არჩევნები ნორმალური მოვლენაა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. იტალიაში ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ ჩატარდა არჩევნები, მაგრამ იტალია ამით არ დანგრეულა. არჩევნების გზით, ბოლოს და ბოლოს, უნდა მივიღოთ შედეგი. არჩევნები უნდა ვატაროთ მანამდე, ვიდრე ხელისუფლებაში არ მოვლენ ნორმალური ადამიანები. ამაზე უნდა ვიზრუნოთ და არა იმაზე, ვის კანდიდატურას წარმოგვიდგენს პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ. შეიძლება დაგვისახელოს პირი, რომელიც გირგვლიანის საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობდა. 2012 წელს ჩვენ იმიტომ არ მოგვიხდენია გადატრიალება (ის არჩევნები, ფაქტობრივად, გადატრიალება იყო), რომ საკუთარ თავზე მზრუნველი და არაფრისმაქნისი პირები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. არც იმისთვის გვიბრძოლია, რომ კობახიძე და სხვა დეპუტატები გათხოვილიყვნენ და გამზითვებულიყვნენ.



*— ეკა ბესელია აცხადებს, რომ იური ვაზაგაშვილი მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიების დაჩქარებას ემსხვერპლა...*

— მაგ განცხადებებით ეკა ბესელიამ თქვენი კოლეგები მოატყუოს. ეკა ბესელიამ თავისი თავი დადებითად წარმოაჩინა მაშინ, როცა პარლამენტის გარეთ იყო. რაც პარლამენტში შევიდა, „ეკა ბესელიობა“ დამთავრდა. ბესელია იური ვაზაგაშვილს ატყუებდა, საქმის გამოძიება მიმდინარეობსო. ჩვენც არ გვერიდებოდა. გვარწმუნებდა, ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არისო. სამწუხაროა, მაგრამ ეკა ბესელიამ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ საკუთარი ცხოვრება მოიწყო, თეთრი ქურქი და თეთრი ჩექმები მოირგო და სამართლიანობა აღარ აინტერესებს. ჩვენს გათავისუფლებაზე ხელი აქვს მოწერილი. ამის გამო სხვა რამეებს ვპატიობ. ამიტომ, ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი.

*— საუბარია სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აქციების გამართვაზე...*

— ამის სურვილი და მოთხოვნილება არის. უბედურება ისაა, რომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და გათვლილია. ნაციონალებსაც ყველაფერი წინასწარ გაწერილი ჰქონდათ. „ქართული ოცნებაც“ ასეა. უფრო ზუსტად, ამათ „მამებს“ აქვთ ყველაფერი დაგეგმილი. ჩვენდა სავალალოდ, ისინიც და ესენიც პროდასავლურობას თამაშობდნენ. სინამდვილეში, პროდასავლურები კი არა, „ეფესბეშნიკები“ არიან. ყოველ შემთხვევაში, „ეფესბესთან“ შეკრული პირები არიან ხელისუფლებაში. მაინტერესებს, რა სხვაობაა იური ვაზაგაშვილისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობებს შორის? ვიმეორებ — რაც მოხდა, კანონზომიერი იყო. შემდეგი იქნება სხვა. მერე მეც მომდგებიან. თუ ბევრს ილაპარაკებთ, არც თქვენ დაგინდობენ.

*— ზოვს გამოძიების იმედი აქვს...*

— რისი გამომძიებლები არიან? მაგ საკითხებზე რომ ფიქრობდნენ, ნაციონალების წილებს გადაინაწილებდნენ და მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნებდნენ? ხელფასზე ცოტა ზის. უმრავლესობა ბიზნესწილებშია ჩამდგარი და მდიდრდება. იური ვაზაგაშვილი თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრ ჭიკაიძეს ეწვია და პირდაპირ დაულაგა ფაქტები. აცნობა, მისი შვილის მკვლელობის რომელი მონაწილე იყო დაწინაურებული. ალექსანდრე ჭიკაიძემ უპასუხა, არა, ესა და ეს კარგი ბიჭიაო. ჭიკაიძე ღარიბაშვილის ერთგული კადრია. იყოს, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? ან ერთი შეხედვით განათლებული, სინამდვილეში კი ბნელი დავით უსუფაშვილი რას აკეთებს? უსუფაშვილს და ხიდაშელს პირდაპირ ვადანაშაულებ იმაში, რომ მოხდა საგარეჯოს სარწყავი სისტემის დატაცება.

*— ანუ, ხიდაშელი, რომელიც საგარეჯოს მაჟორიტარია, ამას არ შეეწინააღმდეგა?*

— არ შეეწინააღმდეგა კი არა, მისი კადრები (გამგებელი, მოადგილე და ა.შ.) ჩასხდნენ სარწყავი სისტემის წილებში. ხიდაშელი მათ თავდებში ჩაუდგა. ეს კი ქმნის გონივრულ საფუძვლიან ეჭვებს. უმრავლესობის ზოგიერთი დეპუტატი ძალიან „კაცობს“, მოწინააღმდეგეებს „ჩმორებს“ უწოდებს. ასეთებმაც „ივაჟკაცეს“ — რესტორნები და ბაზრობებზე წილები დაითრიეს. მათ არ ჩამორჩებიან კომუნისტების დროინდელი „მეურნეები“ თოფაძე და ტყემალაძე, რომლებიც ერევიან ეკონომიკის სამინისტროს მუშაობაში. ესენი ყველანი არიან ჩასარეცხი. ჯობია, ყველაფერი ნულიდან დავიწყოთ და ასე დავამყაროთ სამართალი.

# ალარ მოგითმენთ ქართველი ხალხი ამას, ეს ბოლო წვეთი იყო“

## რეზო ამაშუკელი ხელისუფლებას ულტიმატუს უყენებს

შორენა მარსაგიშვილი

პოეტი რეზო ამაშუკელი ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებს. მისი განცხადებით, თუ ხელისუფლება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის სასწრაფოდ არ გამოიძიებს, ის სამართლიანობის მოთხოვნით ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავა.

— არაერთხელ განმიცხადებია, რომ მე ამ ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ. მაგრამ, დღეს პირდაპირ ვაცხადებ, თუ უმოკლეს დროში ეს საქმე არ იქნება გამოძიებული, იმიტომ, რომ ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება, მაშინ მე ყველაზე რადიკალურ ოპოზიციას შევუერთდები. ეს ბოლო წვეთია, ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება, როცა მოკლული შვილის საფლავზე წააკლავენ მამას, რომელიც იბრძოდა ამდენი ხანი, დაჩოქილი იხვეწებოდა, სამართალს თხოულობდა. აქედან მე მივმართავ დიპლომატიურ კორპუსს, რომელიც თბილისშია განლაგებული, მობრძანდით ბატონებო და თქვენი თვალით ნახეთ ეს ვარსკვლავთბიჭუნები და აი, ეს ფაშისტები და ძაღლის ნაშობები. ეს იყო სისტემა, რომელსაც თქვენ ხელს აფარებთ. მე მივმართავ ამერიკის ელჩს, ბატონ ნორლანდს, გამობრძანდით ახლა ბატონო და დადექით ჩვენს გვერდით, თუ თქვენ დემოკრატები ბრძანდებით. არაერთხელ გითხარით, აირჩიეთ ან ეს მკვლელები, ან საქართველო. მაგრამ არ გინდათ თქვენ ამის გაკეთება, რადგან მილიარდები გაქვთ ჩაყრილი და დღეს კიდევ უბიძგებთ, რომ ჩაერიონ უკრაინაში, — ვკითხულობთ



რეზო ამაშუკელის მიმართვაში.

თავის მიმართვაში ის ხელისუფლებას რამდენჯერმე აფრთხილებს, რომ რადიკალურ ოპოზიციაში გადავა და როგორც თავად ამბობს, მისი მორევა ადვილი არ იქნება. ის ექსპრემიერ ივანიშვილს საგანგებოდ მიმართავს.

— მე ბატონ ბიძინასაც მივმართავ, მე არ მოვსულვარ თქვენთან და არ ჩაგიხტით კალთაში, როგორც ძალიან ბევრი მოტლიკინე ინტელიგენტები გახვევიან დღესაც. გამოვიდნენ და ხმა ამოიღონ. და ეს პარლამენტი, რომელიც არის უმეტესობა, მუთაქებივით ყრიან იქა. გაუგზავნოს ახლა უსუფაშვილმა მისალოცი ბარათი იმას, თავის ჯიშს და ხორცს, ერთნი არიან ეგენი. გამობრძანდეს ეს კარალევა მარგო და ხალხთან ერთად დადგეს. რა პირით აშუქებს ,,რუსთავი 2“ ამ ამბავს. სუყველას პასუხს მოგთხოვთ, გაფრთხილებთ და ვაფრთხილებდი ხელისუფლებას ყოველ წუთში. ახლა არ დამიწყია ზოგიერთებივით მუშტებით ქნევა, ჩემი ცხოვრება შევალიე მაგათთან ომს. ვაფრთხილებდი და უკვე ბოლო წვეთი ჩამოვარდა. ვერ გააჩერებს ამას ვერაფერი, ვერც პოლიცია და ვერავინ.

გამოვიდეს ახლა ხმალაძე, ფანქარზე წამოგებულ საშლელს რომ ჰგავს და დაიცვას სააკაშვილი კიდე. დიახ, მაგან დაიწყო ომი, მაგის ბრალია ყველაფერი საერთოდ. იმიტომ მოხდა ის აფეთქება, იმიტომ მოკლეს იური, რომ არ გახსნილიყო ბოლომდე. ეს იყო სისტემა, რომელმაც მოუწყო ტერორი თავის საკუთარ ხალხს, — აცხადებს ამაშუკელი.

პოეტი ხელისუფლებას მიმართავს, რომ კორტების სპეცოპერაციის ყველა მონაწილე დროულად დააპატიმრონ.

ამაშუკელის თქმით, იური ვაზაგაშვილის აფეთქება მიხეილ სააკაშვილის დავალებით მოხდა.

— ახლა მოქმედების დროა და კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ხელისუფლებას. მიიყვანეთ ეს საქმე ბოლომდე დროზე, არ სჭირდება ამას უდანაშაულობის პრეზუმფციები და რაღაც-რაღაცები, ის ხალხი, ვინც ოპერაციაში მონაწილეობდა, დღესვე უნდა აიყვანოთ. ამას არ უნდა ბევრი ლაპარაკი, ეს არის ამათი გაკეთებული და ,,იქიდან“ არის ნაბრძანები, იმიტომ, რომ თუ ეს საქმე გაიხსნებოდა ბოლომდე, ამას წინ ველარაფერი დაუდგებოდა, იმიტომ, რომ იყო მტკიცებულება. სისხლის მსმელმა სააკაშვილმა ააფეთქა იური ვაზაგაშვილი. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

ალარ მოგითმენთ ქართველი ხალხი ამას, ეს ბოლო წვეთი იყო და კიდევ ვიმეორებ, როგორც ბევრჯერ მითქვამს, ახლა წერეთ და იკითხეთ, რაც გინდათ, დედას გიტირებთ! დედას გიტირებთ ,,ნაციონალებო“ და მისი მომღერლები ვინც ხართ და ისინი. ახლა მოუნდა დუტა სხირტლაძეს ჩახუტების აქცია, კიწმარიშვილის გამოზრდილი გომბიოები კიდევ რაღაცებს აწყობენ, რომ გადაფარონ თავიანთი წარსული. გამარჯვებული ხალხის ტელევიზია... ჭკვიანად იყავით თქვე დამპლებო, თქვე, თქვე ღორის შვილებო, დედას გიტირებთ, — ამბობს ამაშუკელი საკუთარ მიმართვაში.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

[illegible]

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

[illegible] 3-5 [illegible]

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სააკაშვილმა უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ოჯახების დასახმარებლად 4 ათასი ლარი ჩარიცხა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი ჯარისკაცების ოჯახების დასახმარებლად, სპეციალურ ანგარიშზე 4 ათას ლარს რიცხავს.

სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებას გარდაცვლილი მებრძოლების შეურაცხყოფაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ არცერთი გარდაცვლილის ოჯახს, მატერიალურად არავინ დახმარებია.

„რუს აგრესორებთან ბრძოლაში, რომლებიც ამავე დროს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციასაც ახორციელებენ, უკრაინაში გმირულად დაიღუპა 2 ქართველი ოფიცერი — ალეკო გრიგოლაშვილი და თამაზ სუხიაშვილი.

სამწუხაროდ, ჩვენმა ახლანდელმა მთავრობამ, არა მხოლოდ შეურაცხყოფა მიაყენა ალეკო გრიგოლაშვილის ხსოვნას, არამედ არც ერთი დაღუპული გმირის ოჯახს ის მატერიალურად არ ეხმარება, არადა მათ დარჩათ შვილები და ეს ოჯახები ხელმოკლედ ცხოვრობენ.

მე მგონი, ჩვენი, როგორც საზოგადოების ვალია შეძლებისდაგვარად აღმოვუჩინოთ დახმარება, იმ ქართველი გმირების ოჯახებს, რომლებიც საერთო მტერთან ბრძოლას შეეწირნენ. ამ მიზნით, ჩემს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასთან, შევქმენი სპეციალური ანგარიში, რომელზეც ჩავრიცხე დასაწყისისთვის ჩემი პირადი დანაზოგიდან — 4 ათასი ლარი და ვთხოვ ყველას, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, თუნდაც მცირედი თანხით ამიბას მხარი. ეს სწორიცაა და ამავე დროს ჩვენი ღირსების საკითხია“ — აცხადებს სააკაშვილი.

ნიუსპრესი

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკითხზე მარგველაშვილს საგანელიძე შეხვდება

შორენა გონგლაძე



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევა კვლავ აქტუალურ თემად რჩება. არასამთავრობო ორგანიზაციების შემდეგ, შესაფერის კანდიდატურაზე სამსჯელოდ პრეზიდენტთან უკვე საპარლამენტო უმრავლესობა იწყებს შეხვედრებს.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე კონსულტაციების დაჩქარება მოითხოვა, გაირკვა, რომ

პრეზიდენტს პარლამენტიდან დეპუტატი დავით საგანელიძე შეხვდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. როგორც დავით საგანელიძემ განაცხადა, პრეზიდენტთან შეხვედრისას საუბარი არ იქნება არც ერთ კონკრეტულ გვარსა და კანდიდატურაზე, იმსჯელებენ მხოლოდ იმაზე, თუ რა ფორმატში შეხვდება უმრავლესობა გიორგი მარგველაშვილს. მისივე ცნობით, პრეზიდენტთან შეხვედრის კიდევ ერთი თემა მისი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით მოსვლის საკითხიც იქნება.

**დავით საგანელიძე:**

— უმრავლესობამ მთხოვა და მომცა ის ლეგიტიმაცია, რომ პრეზიდენტთან გავმართო კონსულტაციები. აქ საუბარია არა იმაზე, რომ მე რაიმე კონკრეტული გვარებით მივდივარ, ან რაიმე კონკრეტულ გვარებს ველოდები პრეზიდენტისგან, არამედ ჩვენ ვისაუბრებთ სამუშაო ფორმატზე, ფორმასა და მეთოდებზე. ჩემი პოზიციაა, რომ პრეზიდენტმა უნდა შემოგვთავაზოს კონსულტაციების კონკრეტული ფორმატი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება, მან თქვას, მომეცით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატთა გვარები და მე ამოვარჩევ კანდიდატურასო, ან გვითხრას, რომ გვარებს მე მოგცემთ და თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილებაო.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, გია ვოლსკის, აზრით, ჯერ თავად პრეზიდენტი უნდა ჩამოყალიბდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატებთან დაკავშირებით და ამის შემდეგ შეუთანხმოს კანდიდატი პარლამენტს.

დეპუტატის აზრით, საუბარი იმის თაობაზე, შედგება თუ არა კონსულტაცია პრეზიდენტთან და როგორი იქნება ის, აჟიოტაჟის ატეხვის სურვილზეა ორიენტირებული. ვოლსკის თქმით, პრეზიდენტს მრჩევლები ამასთან დაკავშირებით არასწორ რჩევას აძლევენ.

— არ შეიძლება პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახური პარლამენტის პროტოკოლის სამსახურს უკავშირდებოდეს და მსგავსი საკითხი საპროტოკოლო ფორმატში წყდებოდეს. ნებისმიერ თემაზე კონსულტაცია, მათ შორის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატურასთან დაკავშირებით, საპროტოკოლო საკითხი არ არის. იმედია, პრეზიდენტი შეჯერებულია დარგის სპეციალისტებთან, ბევრი გვყავს სამართლებრივი საკითხების კორიფე. როგორც კი პოზიცია მისთვის იქნება ნათელი, შეუძლია და ვალდებულიც არის, გაუზიაროს უმცირესობასაც, უმრავლესობასაც. იმედია, პრეზიდენტს პარლამენტისთვის საკუთარი პოზიციის გაცნობის სურვილი ექნება, მაგრამ ამას საპროტოკოლო სახე არ უნდა მიეცეს. ჩვენი შეთავაზებაა, რომ წარმოადგინოს თავისი მოსაზრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, თავად კანდიდატებთან დაკავშირებით, ჰქონდეს დარგის სპეციალისტებთან გავლილი კონსულტაციების შედეგები და შემდეგ გაუზიაროს მთავრობასაც და პარლამენტსაც, — აცხადებს ვოლსკი.

მისივე თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრების პოზიცია ერთმანეთისგან განსხვავებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ კონსტანტინე კუბლაშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე უფლებამოსილების ვადა თებერვალში ეწურება.

# საგარეო ვალის გადახდის ვადა გაზრდილია, საპროცენტო განაკვეთი კი — შემცირებული

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ ჟურნალისტებთან ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მიმოხილვა წარმოადგინა. ორგანიზაციის შეფასებით, ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა გაჯანსაღების გზაზეა და ამ მხრივ საფრთხეები მინიმალურია.**

შორენა გონგლაძე

ორგანიზაციის შეფასებით, 2014 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით სახელმწიფოს (მთავრობის და ეროვნული ბანკის) საგარეო ვალი 4 მილიარდ 419 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს მონაცემი 2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 27,5%-ს შეადგენს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მშპ-ს 2014 წლის პროგნოზს, ეკონომიკის 5%-იანი ზრდის პირობებში საგარეო ვალი 26%-მდე შემცირდება. 2009 წელს სახელმწიფოს საგარეო ვალი მშპ-ს 34%-ს შეადგენდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 36%-ს გასცდა, 2011 წელს 32%-მდე შემცირდა, 2012 წელს მშპ-ს 31% შეადგინა, 2013 წელს კი როგორც აღინიშნა სახელმწიფოს საგარეო ვალმა მშპ-ს მიმართ 27,5% შეადგინა.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ აზრით, ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მონაცემი — საგარეო ვალის შეფარდება ქვეყნის ექსპორტთან. 2013 წელს სახელმწიფო საგარეო ვალმა ექსპორტის 155% შეადგინა, რაც არ არის საუკეთესო მაჩვენებელი, თუმცა ტენდენცია დადებითია, ვინაიდან 2009 წელს საგარეო ვალი 3-ჯერ და უფრო მეტად (331%) აღემატებოდა ექსპორტს, 2010 წელს ვალმა ექსპორტის 265% შეადგინა, 2011 წელს 204%, 2012 წელს კი 209%. როგორც ასოციაციის წევრები აცხადებენ, ასევე არის შემცირებული საგარეო ვალის მომსახურების ხარჯის შეფარდება ექსპორტთან. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2009 წელს საგარეო ვალის გადახდაზე ექსპორტის 21% მიდიოდა, 2010 წელს ეს მონაცემი 17%-მდე შემცირდა, თუმცა შემდგომ 2 წელიწადში 25%-ს გადააჭარბა, 2013 წლისთვის კი 22%-მდე შემცირდა.

„აფბას“ შეფასებით, საგარეო ვალის მიმართულებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ტენდენცია, გაზრდილია საგარეო ვალის გადახდის ხანგრძლივობა და შემცირებულია საპროცენტო განაკვეთი. თუ 2009 წელს საგარეო ვალის დაფარვის პერიოდი საშუალოდ 16 წელს შეადგენდა, 2013 წლისთვის ეს პერიოდი 25 წლამდე გაიზარდა, ანუ ქვეყნის საგარეო ვალდებულებების სტრუქტურა შეიცვალა გრძელვადიანი კრედიტების სასარგებლოდ, რაც ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და წინაპირობაა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საგადასახდელო ბალანსის კუთხით. თუ გასულ წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 15%-ს შეადგენდა, 2013 წელს 5,7%-მდე შემცირდა. უფრო ზუსტად თუ ვიმსჯელებთ, გასულ წლებში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 10%-ზე დაბლა არ ჩამოსულა, 2008 წელს 20%-ზე მეტი იყო, 2005-2012 წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 15%-ს შეადგენდა, 2013 წელს კი დეფიციტი მკვეთრად, თითქმის 3-ჯერ შემცირდა და მშპ-ს 5,7% შეადგინა, რაც საქართველოსთვის ისტორიულად დაბალი მაჩვენებელია.

ახალგაზრდა ფინანსისტების შეფასებით, ქვეყნის ფინანსურ სექტორში გაჯანსაღების ნიშნებია, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეკონომიკური სტაბილურობის გამყარებისთვის. გარდა ამისა, გაუმჯობესებული ფინანსური მდგრადობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის, საინვესტიციო იმიჯის და რეიტინგის გაზრდისთვის.

მრავალფეროვნებისთვის აქვე იქნა მოყვანილი „საქსტატის“ ბოლო მონაცემები რომელიც საქართველოში საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობას და ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შეეხება. საქსტატის ცნობით, წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 11457 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 5 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2861 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (2 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 8596 მლნ. აშშ დოლარს (7 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წელს 5735 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50 პროცენტი შეადგინა.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2990 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 621 მლნ. აშშ დოლარი იყო (2 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2369 მლნ. აშშ დოლარი (4 პროცენტით მეტი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 22 პროცენტი და იმპორტში 28 პროცენტი (2013 წელს შესაბამისად 26, 21 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 30 პროცენტი (2013 წელს 32 პროცენტი). დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2014 წელს 3593 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2013 წელთან შედარებით 5 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 1465 მლნ. აშშ დოლარი (10 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2127 მლნ. აშშ დოლარი იყო (2 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 31 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 51 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი (2013 წელს შესაბამისად 35, 56 და 27 პროცენტი). 2014 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 12 პროცენტი (2013 წელს ასევე 11 პროცენტი).

როგორც „საქსტატი“ იუწყება, 2014 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1966 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1182 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (853 მლნ. აშშ დოლარი). 2014 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა, 518 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 18 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 286 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში — 10 პროცენტს. მესამე ადგილზე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 248 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2014 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 918 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 715 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 8 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 369 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4 პროცენტი).

## მარიამ კოჩალაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს სასიკვდილო განაჩენი ემუქრება



ბათუმში ირანის კონსულის აჰმად რეზა არზიანის განცხადებით, ბათუმელი ახალგაზრდის მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ბრალდებული მოჰამედ ამინ როიტამი, ირანში გასულ კვირას ნამდვილად დააკავეს.

მისივე თქმით, დაკავებულს, ირანული კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა ემუქრება.

ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი „ბათუმელები“ ავრცელებს.

გუშინწინ ირანულ მედიაში ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ მარიამ კოჩალაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ირანის ტერიტორიაზე, 8 წლის ბიჭის მკვლელობისთვის დააკავეს.

საქართველოს შესაბამის უწყებებში კი, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა.

16 წლის მარიამ კოჩალიძე 2013 წელს ბათუმის ბულვარში მოკლული იპოვეს. შსს-მ რამდენიმე დღეში დანაშაული გახსნილად გამოაცხადა, თუმცა მკვლელობაში ეჭვმიტანილმა საქართველოდან გასვლა მოახერხა. ის სარფის საზღვარზე სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

ნიუსპრესი

## ფონიჭალაში მამაკაცმა 85 წლის დედა მოკლა

თბილისში, ქვემო ფონიჭალაში, მამაკაცმა გუშინ 85 წლის დედა მოკლა. როგორც „ნიუსპრესს“ შსს-ში განუცხადეს, ეჭვმიტანილმა მკვლელობა ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინა. შსს-ს განცხადებითვე, საკუთარი დედის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი უკვე დაკავებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ნიუსპრესი

## გურჯაანში ნარკოდანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, 1991 წელს დაბადებული თამაზ მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ბუპრენორფინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირი დააკავეს

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა, 18 იანვარს, სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „დარიალზე“, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს, უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1971 წელს დაბადებული არტაკ მკრტუმიანი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კიევის ინტერპოლის მიერ არტაკ მკრტუმიანი, დაკავების და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, საერთაშორისო ძებნაში 2014 წლის 10 მაისს გამოცხადდა. მას ბრალად, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედება, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. არტაკ მკრტუმიანმა 2014 წლის 10 მაისს ქალაქ კრივოი როგში, ჩხუბის დროს, ზურგში დანა ჩაარტყა მოქალაქე ი. რუდიაკს, რითაც მას სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა.

ამჟამად არტაკ მკრტუმიანი დაკავებული და გადაყვანილია თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინა საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს

.ნიუსპრესი

## პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში, 1989 წელს დაბადებული დავით ჩ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „მაკაროვი“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# განცხადება

**კავკასიის სასწავლო უნივერსიტეტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების თანახმად აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად, სამეცნიერო ნიშნით შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- საბუღალტრო აღრიცხვა – 0201
- ფინანსები – 0204
- მენეჯმენტი – 0203

ვაკანტური ადგილები:

- პროფესორი □ 3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი □ 5 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 2ვაკანსია;

**საერთაშორისო ურთიერთობების ქართული და რუსულენოვანი** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:

- **საერთაშორისო პოლიტიკა;**
- **საერთაშორისო ეკონომიკა;**
- **საერთაშორისო ურთიერთობები;**

ვაკანტური ადგილები:

- პროფესორი – 3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი – 7 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;

**ზოგადმაპროფილებელი სასწავლო მოდულის განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ქართული ფილოლოგია;
- ინგლისური ფილოლოგია;
- რუსული ფილოლოგია
- საქართველოს ისტორია
- ფსიქოლოგია
- ფილოსოფია

ვაკანტური ადგილები:

- ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;

**საკონკურსო კრიტერიუმები პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის, ან მასთანგათანაბრებული აკადემიურისამეცნიერო ხარისხი მიმართულების დარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე;

**საკონკურსო კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიურისამეცნიერო ხარისხი მიმართულებისდარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიურისამეცნიერო ხარისხი მიმართულებისდარგის შესაბამისად;

2) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) აკრედიტებული ან მასთან გათანაბრებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი

**დამატებითი, არასავალდებულო კრიტერიუმები:**

1) სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;

2) მონაწილეობა საერთაშორისო ანდა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში;

3) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

4) სახელმძღვანელოს ავტორობა ანდა თანაავტორობა შესაბამის დარგში;

**კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. განაცხადი კონკურსის მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის, აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

2. ავტობიოგრაფია (ჩV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არა მარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ხოლო პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად – შესაბამისი პროფესიული გამოცდილების შესახებ (ელექტრონული ან ქაღალდის მატარებელზე);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონულიან ქაღალდის მატარებელზე);

4. შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის დოკუმენტების ასლები (ელექტრონული ან ქაღალდის მატარებელზე);

5. შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტისათვის) (ელექტრონულიან ქაღალდის მატარებელზე);

6. 2 ფოტოსურათი, ზომით 3-4;

7. კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურსისკურსების სილაბუსი (კონკურსანტის სურვილისამებრ);

კონკურსის ეტაპები:

- პირველი ეტაპი – კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტაციის შეფასებადამუშავება წინამდებარე საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით;
- პირველი ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება.

**კონკურსის გამოცხადების თარიღი: 22 იანვარი, 2015 წელი.**

**კონკურსის ვადები:**

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 24 თებერვალი 4 მარტის ჩათვლით.

2. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2015 წლის 5 მარტიდან 9 მარტის ჩათვლით;

3. კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2015 წლის 12-13 მარტს;

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2015 წლის 15 მარტს.

საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის

**კონკურსანტთა განაცხადების მიღება იწარმოებს, როგორც ელექტრონული სახით, universiteti kavkasia @ mail ru ასევე ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 43 (პროფკავშირების სახლი) ოთახი 206.**

**ტელეფონები: 592 075656, 595 85 16 97**

# 1. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი 2015 წლის 22 იანვრიდან აცხადებს კონკურსს ასოცირებული პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

### ა) ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

ასოცირებული პროფესორის – 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

ასისტენტ-პროფესორის – 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

### ბ) განათლების მიმართულებით

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 3 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

ასოცირებული პროფესორის – 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

### გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 3 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

ასოცირებული პროფესორის – 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

ასისტენტ-პროფესორის – 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;

**2.** აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება დაიწყოს 2015 წლის 23 თებერვალი და დამთავრდეს 2015 წლის 9 მარტს. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 10 მარტს; კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2015 წლის 11 მარტს.

**3. ა)** სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორად, 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

**ბ)** სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად, 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარი მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**გ)** სასწავლო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.

**4.** პროფესიული ნიშნით კვალიფიციურ პერსონალს შეუძლია პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავება. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ანდა პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**5.** კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას.

**5.1.** კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

**5.2** აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით საკონკურსო კომისიას წარუდგინოს:

**ა)** განცხადება (დანართი №1);

**ბ)** ანკეტა (დანართი №2);

**გ)** პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლთან ერთად;

**დ)** სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

**ე)** საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

**ვ)** საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში);

**ზ)** უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი.

**თ)** 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4.

**5.3.** კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო კომისიას წარმოუდგინოს კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადება **(დანართი №1)** კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა **(დანართი №2)** შესაბამისი დოკუმენტაცია. (იხილეთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.rvali.edu.ge)

**5.4.** კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

**5.5.** კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

**5.6.** კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

**საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქუჩა №3**

**ტელ: 0341 24 18 98; ელექტრონული ფოსტა: rvaliuni@gmail.com; vebgverdi:www.rvali.edu.ge**

# მოსკოვი აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო მონაწილეობას აძლიერებს



აღმოსავლეთ უკრაინაში და მის მიმდებარე რაიონებში რუსეთი სამხედრო დასწრებას ზრდის. ამის შესახებ უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციის პრესსპიკერმა, ანდრეი ლისენკომ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, რუსეთმა ეს ნაბიჯი აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო მოქმედებების შედეგად ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დანაკარგების შემდეგ გადადგა.

ანდრეი ლისენკოს ინფორმაციით, ლუგანსკის ოლქში რუსი სამხედროების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ქალაქ კრასნოდარში კი 60-ზე მეტი ტანკის, 50-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორისა და 100-მდე ჯავშანმანქანის გადაადგილება დაფიქსირდა.

როგორც ბრიფინგზე უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციის პრესსპიკერმა განაცხადა, ქალაქ გორლოვკაში ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის „ბოევიკების“ რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებით ჩანაცვლება ხდება, შახტერსკისა და ტორეზის რაონში კი რუსეთის შეიარაღებული ძალების 100-მდე ტანკი იმყოფება.

უშიშროების საბჭოს ინფორმაციით, გუშინ 20 იანვარს, ლუგანსკთან განლაგებულ უკრაინის ჯარების პოზიციებზე სწორედ რუსეთის რეგულარულმა შენაერთებმა მიიტანეს იერიში.

ანდრეი ლისენკოს განცხადებით, რუსულ შენაერთებთან ბრძოლები გაიმართა ლუგანსკის ოლქის დასახლებული პუნქტის კრიმსკის მახლობლად, 29-ე და 31-ე ბლოკსაგუშაგოებთან. მან დასძინა, რომ სამთავრობო ჯარებმა „ჩემიგორიესა და სლავიანოსერბსკს შორის რუსული ჯარების წინსვლის შეჩერება მოახერხეს“.

ლისენკოს განცხადებით, 19 იანვარს „სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ორი, 400-400 კაციანი, ტაქტიკური მოტომსროლელი ჯგუფი, შევიდა“. მან აღნიშნა, რომ 20 იანვარს უკრაინის დაზვერვამ მიიღო ინფორმაცია, რომ „უკრაინის საზღვარს კიდევ 3 რუსული მოტომსროლელი ბატალიონი მიუახლოვდა“.

ამ ფონზე, კიევი მზადაა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადოს. ამის შესახებ უმაღლესი რადას უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ სერგეი პაშინსკიმ განაცხადა. მისივე თქმით, ამისთვის ყველა პირობა არსებობს და შესაბამისი დოკუმენტიც მომზადებულია, თუმცა კიევი იმ ნეგატიურ შედეგებსაც ითვალისწინებს, რომელიც შესაძლოა სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას მოჰყვეს. კერძოდ კი, კიევი შიშობს, რომ ამ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან დახმარებას ვეღარ მიიღებს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში ჯარების შეყვანა კვლავ კატეგორიულად უარყო. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის ჯარების მონაწილეობას დაადასტურებს.

მისივე თქმით, არც იმის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს, რომ მალაიზიური ბოინგი უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთმა ჩამოაგდო.

„რუსეთის ჯარები, რუსული შეიარაღება. ხშირად გვესმის ეს სიტყვები. ყოველ ჯერზე ვამბობ, თუ ამას ამტკიცებთ, ფაქტები წარმოადგინეთ. ფაქტები ან არავის აქვს ან არ უნდათ მათი წარმოდგენა“, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

მისივე თქმით, ვიდრე რუსეთს რაიმეს შეწყვეტას სთხოვენ, უმჯობესია ჯერ იმის დამადასტურებელი ფაქტები წარმოადგინონ, რომ ეს რუსეთმა ჩაიდინა. ამ ფონზე, ბერლინში, აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით მოლაპარაკებების ახალი რაუნდი გაიმართება.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, „ნორმანდიის ფორმატში“ გასამართ შეხვედრაში უკრაინის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღებენ მონაწილეობას.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ამჯერად შეხვედრა უკრაინისა და რუსეთის მიერ არის ინიცირებული. ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ბოლო შეხვედრა 12 იანვარს გაიმართა. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პაველ კლიმკინის განცხადებით, შეხვედრაზე რუსეთი მინსკის მოლაპარაკებების შეცვლას ცდილობდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ობამა: რუსეთი იზოლირებულია, მისი ეკონომიკა დაშლილია



აშშ-ის მიერ უკრაინის მხარდაჭერა ამერიკული ძალისა და დიპლომატიის დემონსტრირება იყო, რომელმაც მოსკოვი და მისი ეკონომიკა იზოლაციაში მოაქცია, — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესისთვის ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა.

„რუსეთის აგრესიისთვის წინააღმდეგობით, უკრაინის დემოკრატიის მხარდაჭერითა და ნატო-ს მოკავშირეების თანადგომით, ჩვენ ვიცავთ პრინციპს, რომ დიდ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება დაემუქრონ მცირე სახელმწიფოებს“, — აღნიშნა ბარაკ ობამამ. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, გასულ წელს აშშ-მა რთული სამუშაო შეასრულა, როდესაც მოკავშირეებთან ერთად რუსეთს სანქციები დაუწესა მაშინ, როცა ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ პუტინის აგრესია მისი სტრატეგიისა და ძალის ოსტატური გამოვლინებაა.

„დღეს, ამერიკა ძლიერი და ერთიანია ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, რუსეთი — იზოლირებულია, მისი ეკონომიკა კი, დაშლილია. სწორედ ასე მიიწევს წინ ამერიკა — არა ფუჭი მუქარით, არამედ მუდმივი, ურყევი სიმტკიცით“, — აღნიშნა ბარაკ ობამამ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით კი, აშშ მსოფლიოში დომინირებისკენ ისწრაფვის და ევროკავშირსა და იაპონიას აიძულებს, რუსეთს სანქციები დაუწესონ. როგორც მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, მოსკოვი მზად არ არის, მოლაპარაკებები გამართოთ დათმობების თაობაზე სანქციების გაუქმების მიზნით.

„ამერიკელებმა კურსი კონფრონტაციაზე აიღეს და კრიტიკულად არ აფასებენ საკუთარ ნაბიჯებს. ბარაქ ობამას განცხადებები გვიჩვენებს, რომ ფილოსოფიის ცენტრში მხოლოდ ერთი რამ არის: ჩვენ ვართ ნომერი პირველი, სხვა დანარჩენებმა კი ეს უნდა აღიარონ. ეს ცოტა არ იყოს არათანამედროვეა და არ პასუხობს დღევანდელ რეალიებს“, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირმა რუსეთისთვის სანქციების დაწესებით, ამერიკელებს მიბაძა. რუსეთის ვიცე-პრემიერი, დიმიტრი როგოზინი აშშ-ის პრეზიდენტის მიერ რუსეთის ეკონომიკის დაშლასთან დაკავშირებულ განცხადებას ეხმაურება.

„ობამამ განაცხადა, რომ ამერიკის ძალისხმევით რუსეთის ეკონომიკა შეჩერებულია და იშლება. რა მეოცნებეა“, — წერს როგოზინი ტვიტერის გვერდზე. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნმა დმიტრი პესკოვმა დასავლეთის ქვეყნები პუტინის ჩამოგდების მცდელობაში დაადანაშაულა, რისთვისაც ისინი უკრაინის კონფლიქტს იყენებენ, — აღნიშნულის შესახებ პესკოვმა რუსულ გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

„პრობლემა მარტივად რომ ავხსნათ, დასავლეთი ცდილობს პუტინის ჩამოგდებას, საერთაშორისო პოლიტიკიდან მის იზოლირებას, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთის ეკონომიკის დასუსტებას, ამასთან, მოითხოვს, რომ მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტი რუსეთმა დაარეგულიროს“, — განაცხადა პესკოვმა.

ამასთან, პესკოვის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ დასავლეთი რუსეთს არასოდეს არ „დაეხსნება“.

„რომ არ ყოფილიყო ყირიმი, ისინი მოიგონებდნენ სხვა მიზეზს. სწორედ ამის შესახებ საუბრობდა პუტინი მიმართვაში: ჩვენ უნდა ვიყოთ ერთაიანნი, სუვერენულები, დამოუკიდებლები, ძლიერები“.

ამასთან, პესკოვის განცხადებით, რუსეთი დე ფაქტო დახმარებას უწევს უკრაინას, რომელსაც ამარაგებს ელექტროენერგიით. პესკოვის განცხადებით, უკრაინის კონფლიქტის დარეგულირება შეუძლია მხოლოდ პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს.

# ამერიკა კვლავაც ძლიერია“

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, რამდენიმეწლიანი ომისა და რეცესიის შემდეგ, კრიზისის აჩრდილი გაქრა და ამერიკა კვლავაც ძლიერია. ამის შესახებ ბარაკ ობამამ კონგრესისთვის ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა. პრეზიდენტის თქმით, ახალი ფურცლის გადაშლის დროა.

„დღეს, ამერიკისთვის გამრღვევი 2014 წლის შემდეგ, ჩვენი ეკონომიკა იზრდება და 1999 წლის შემდეგ პირველად ქმნის სამუშაო ადგილებს სწრაფი ტემპებით“, — აღნიშნა ბარაკ ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას აქვს ახალი ინსტრუმენტები ფინანსური კრიზისის აღსაკვეთად.

ბარაკ ობამას თქმით, საშუალო კლასზე ორიენტირებული ეკონომიკა და გაზრდილი შესაძლებლობები შედეგიანია.

მან ასევე განაცხადა, რომ კონგრესმა უნდა მიიღოს კანონი, რომელიც ერთსა და იმავე საქმის შესრულებისთვის ქალების ანაზღაურებას მამაკაცების ანაზღაურებას გაუტოლებს. „2015 წელია. უკვე დროა“, — დასძინა აშშ-ის ლიდერმა.

კონგრესისთვის ყოველწლიურ მიმართვაში ბარაკ ობამამ ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს „რესპუბლიკელების“ იდეებს.

„არა მხოლოდ გავითვალისწინებ მათ იდეებს, არამედ ვითანამშრომლებ მათთან ქვეყნის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

„ვიცი, რომ მეტი საპრეზიდენტო კამპანია აღარ მაქვს, რადგან ორივე არჩევნები მოვიგე. მომავალი ორი წლის განმავლობაში ჩემი ერთადერთი გეგმა იგივეა, რაც იმ დღიდან მოყოლებული მქონდა, როცა ფიცი დავდე — გავაკეთო ის, რაც მწამს, რომ საუკეთესოა ამერიკისთვის“, — დასძენს ობამა.

მისივე თმით, აშშ იცავს სიტყვის თავისუფლებას, პოლიტიკურ პატიმრებს, გმობს ქალების, რელიგიური უმცირესობის, ლგბტ ადამიანების დევნას.

„ჩვენ ღიად ვეწინააღმდეგებით ანტისემიტიზმს, რომელიც კვლავაც გამოჩნდა მსოფლიოს რამდენიმე ნაწილში; ჩვენ კვლავაც უარს ვამბობთ შემაძრწუნებელ სტერეოტიპებზე მუსლიმებთან დაკავშირებით, რომელთაც უდიდესი ნაწილი იზიარებს ჩვენს მისწრაფებას მშვიდობისკენ“, — აღნიშნა ბარაქ ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა კონგრესს, მიიღონ რეზოლუცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.

„ერაყსა და სირიაში აშშ, ჩვენი სამხედრო ძალის ჩათვლით, აფერხებს „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებებს. ახლო აღმოსავლეთში ახალი სახმელეთო ომის გაღვივების ნაცვლად, ჩვენ ვუძღვებით ფართომასშტაბიან კოალიციას, რომელშიც არაბული სახელმწიფოებიც არიან გაერთიანებული, ამ ტერორისტული დაჯგუფების გასანადგურებლად. მოვუწოდებ კონგრესს, გაჩვენოთ ჩვენი ერთობა ამ მისიაში და მიიღოს რეზოლუცია, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ“, — განაცხადა ბარაკ ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას საპრეზიდენტო ვადა 2017 წლის იანვარში იწურება. ობამას გარემოცვის განცხადებით, შესაძლოა ის ოჯახთან ერთად ნიუ იორკში დაბრუნდეს, სადაც 1980-იან წლებში ცხოვრობდა.

# თიბისი ბანკმა ფულადი გზავნილების გათამაშების 10 გამარჯვებული დააჯილდოვა




თიბისი ბანკის ფულადი გზავნილების გამარჯვებულები 5000 და 1000 ლარიანი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

5 000 ლარის მფლობელები ზვიად ადეიშვილი, სვეტლანა მელნიჩუკი, ზაზა დავითაძე, ლალი შალიკიანი და სოფიკო ჩიხლაძე გახდნენ.

ფულადი გზავნილების გათამაშება 1 აპრილიდან 10 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში ჩართული იყვნენ მომხმარბლები, რომელთაც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თიბისი ბანკის მეშვეობით მიიღეს ან გააგზავნეს ფულადი გზავნილები.

სოფიკო ჩიხლაძე მთავარი პრიზის 5000 ლარის ერთერთი მფლობელი: □დიდი ხანია ვსარგებლობ თიბისი ბანკის მომსახურებით. ფულადი გზავნილების აქტიური მომხმარებელი ვარ, შემთხვევით გავიგე, რომ თიბისი ბანკში შემეძლო ჩემი ხნის-ის გზავნილით მეარჩენა. შემოსავალი დიდი არ არის, მაგრამ ამ გათამაშებაში და ფინალურ გათამაშებაში 5 000 ლარიც მოვიგე. ძალიან ბედნიერი ვარ და დიდ მადლობას ვუხდი თიბისი ბანკს ამ სასიხარულო სიურპრიზისთვის.□

მთავარ ფულად პრიზებთან ერთად აქციის ფარგლებში თიბისი ბანკმა ხმვადასხვა პრიზებით 8 ათასამდე მომხმარებელი დააჯილდოვა.

თიბისი ბანკში და ახლა უკვე თიბისი კონსტანტას ფილიალებში მთელი საქართველოს მასშტაბით შესაძლებელია ყველა წამყვანი ფულადი გზავნილების სისტემით სარგებლობა, როგორებიცაა: Western Union, Contact, IntelExpress, Zolotaya Korona, Anelik, Ria da Money Gram.

## უფყნ[ფლფ,ფ,ბ

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრამვულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიები) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პრაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# ირაკლი კლიმიაშვილი: რობერტო კარლოსთან ერთად ვარჯიში რად ღირს

ირაკლი კლიმიაშვილს ქართული ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე დიდი წარდგენა არ სჭირდება.

თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“ ჩამოყალიბებულ 26 წლის ფეხბურთელს უკვე საკმაოდ ბევრი აქვს ნანახი. მისი პირველი სერიოზული წარმატებები სწორედ „ვეტერინარებს“ უკავშირდება, რომელთა რიგებში ასპარეზობისას ჩემპიონიც გახდა, თასის მფლობელიც და სუპერთასის გამარჯვებულიც. 5 ოფიციალური თამაში ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ჩატარებული, ხოლო ახალგაზრდულში — 12.

გარდა საქართველოსა, მისი კარიერა სამ უცხოურ კლუბსაც მოიცავს, რუსული „ანჟი“, უზბეკური „პახტაკორი“ (რომლის შემადგენლობაში თასის მფლობელი გახდა) და ლატვიური „სკონტო“. იგი არცთუ იშვიათად დაუსახელებიათ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იგი დღესდღეობითაც საკმაოდ მოთხოვნადი ფეხბურთელია. სხვა სიკეთესთან ერთად ირაკლი უშუალო და კომუნიკაბელური ადამიანიცაა, ამიტომაც არ გასჭირვებია მას ქუთაისის „ტორპედოში“ ადაპტაცია.

***— პირველ რიგში, გულშემატკივრებს გააცანი შენი თავი.***

— დავიბადე 1988 წლის 30 მაისს, ქალაქ თბილისში. დავიბადე იმ უბანში, სადაც იყო „დინამოს“, „ლოკომოტივისა“ და „ავაზას“ სტადიონები. სწორედ „ავაზაში“ დავიწყე 5 წლიდან ფეხბურთის თამაში, სადაც ნუგზარ ჩიტაურის მწვრთნელობით მთელი ბავშვობა გავატარე. როცა სკოლიდან გამოვდიოდი, ჩემმა მშობლებმა არ იცოდნენ, ისე ვთამაშობდი ფეხბურთს. ერთ მშვენიერ დღესაც მწვრთნელმა მითხრა, რომ პატრონი მიმეყვანა და ვინაიდან დედაჩემს არ უნდოდა რომ ამ სპორტს გავყოლოდი, მამა წამომყვა, თუმცა იმდენად დიდი იყო ჩემი სურვილი ფეხბურთელობისა, რომ შემდეგ მთელი ოჯახი ხელს მიწყობდა ყველანაირად. 14 წლის ვიყავი, როცა „ავაზადან“ „ვიტ ჯორჯიას“ ჭაბუკთა გუნდში გადავედი, შემდეგ დუბლებში მიშა კალმახელიძემ გადამიყვანა. 17 წლისამ კი მთავარ გუნდშიც მოვხვდი და უმაღლესი ლიგაც ვითამაშე. ძლიერი გუნდი გვყავდა. მწვრთნელი ნესტორ მუმლაძეც მენდობოდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. სხვათა შორის, მე და გურამ ადამაძე ვიყავით ერთად. ფეხბურთის კუთხით, ყველაზე მეტად მახსენდება სწორედ „ვიტ ჯორჯიაში“ გატარებული პერიოდი, როცა საქართველოში ყველა გათამაშება მოვიგეთ. ვარ დაოჯახებული, მყავს 2 წლის ქალიშვილი — ანასტასია. ამჟამად, ქუთაისში მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ.

***— „ვიტ ჯორჯიაზე“, ალბათ, კიდევ ბევრს ილაპარაკებ, რადგან პროფესიონალურ დონეზე შენთვის ყველაფერი ამ კლუბით იწყება.***

— დაუნახავი უნდა ვიყო, რომ ამ კლუბს მადლობა არ გადავუხადო. ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი „ვიტ ჯორჯიას“ მიუძღვის. გამიმართლა, რომ ისეთ კოლექტივში მოვხვდი. ყველანი კეთილგანწყობილად იყვნენ ჩემ მიმართ, რაც ძალიან მეხმარებოდა.

***— ბევრი აღიარება მოგიპოვებია, მათგან რომელი იყო შენთვის განსაკუთრებული?***

— ქართულ და უცხოურ გაზეთებშიც ბევრჯერ დამასახელეს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულად. „სკონტოში“ თამაშისას ლატვიის ჩემპიონატის წლის სიმბოლურ ნაკრებშიც მოვხვდი. უზბეკეთში, სადაც თასის ფინალში დუბლი შევასრულე, საუკეთესო ლეგიონერის წოდება მომცეს და ბევრი სხვა... ჩემთვის ყველა განსაკუთრებული იყო.

***— საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრიც იყავი, რას გაიხსენებდი ქვეყნის ღირსების დაცვისას?***

— დღესაც, როდესაც ვუყურებ ბიჭების თამაშს, მეც მგონია, რომ იმათთან ერთად ვარ, რადგან ის ყველაფერი გამოცდილი მაქვს. ყველა ფეხბურთელის ოცნება ნაკრებში თამაშია და მადლობა ღმერთს, რომ ეს პატივი აქამდეც მქონდა და იმედია, კიდევ მომეცემა შანსი. ეროვნულ ნაკრებში ისეთ ფეხბურთელებთან ერთად მომიწია ყოფნა, როგორებიც არიან: კახი კალაძე, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, და სხვანი, რომელთა მაისურებს, ხელმოწერებსა და სურათებს ბავშვობაში ვაგროვებდი. 21-წლამდე ნაკრებს რაც შეეხება, იქ, ვინც ვთამაშობდით თითქმის ყველანი ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით, ვძმაკაცობდით და ერთი ოჯახივით ვიყავით. ოთარ გაბელიამ ძალიან მეგობრული გუნდი ჩამოაყალიბა. ყველაზე სამახსოვრო იყო ზესტაფონში ჩატარებული მატჩი თურქების წინააღმდეგ, რომლებსაც 4:0 მოვუგეთ.

***— „ვიტ ჯორჯიადან“ „ანჟიში“ გადახვედი, რომელსაც იმ დროს დიდი მიზნები ჰქონდა. რობერტო კარლოსთან ერთადაც ვარჯიშობდი. როგორ ფიქრობ, იქ, დიდი კონკურენციის გამო ვერ დაიმკვიდრე ადგილი?***

— შეიძლება, თუმცა მაგაზეც არ მწყდება გული, იმიტომ, რომ იქ კარგი სკოლა გავიარე. თუნდაც, მხოლოდ კარლოსთან ერთად ვარჯიში რად ღირს, მსოფლიო დონის ვარსკვლავთან. მინდა აღვნიშნო, რომ „ანჟიში“ რევაზ ჩელებაძემ წამიყვანა, ვისიც, რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ. მაშინ მწვრთნელად გაჯი გაჯიევი იყო, მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ყოველთვის მეუბნებოდა, რომ მომცემდა შანსს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ამხანაგურ თამაშებში მივიღე მონაწილეობა.

***— იქიდან იჯარით გაგანათხოვრეს ტაშკენტის „პახტაკორში“, უზბეკეთში როგორ განვითარდა მოვლენები?***

— ინტერვიუებშიც მაქვს ნათქვამი, რომ არ მინდოდა უზბეკეთში წასვლა, რადგან წარმოდგენაც არ მქონდა იქაურ ფეხბურთზე. შემდეგ, ჩემმა მეგობარმა კახი მახარაძემ, რომელიც „პახტაკორში“ თამაშობდა, ყველაფერი ამიხსნა და როცა ჩავედი, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. უზბეკებისთვის „პახტაკორი“ პირველი კლუბია და ტაშკენტში ფეხბურთი აღმატებულ ხარისხშია აყვანილი. თითქმის ყველა თამაშზე ანშლაგი იყო. გასვლით მატჩებზეც კი, ყველგან ივსებოდა სტადიონი, სადაც სტუმრად „პახტაკორი“ ჩადიოდა. გეტყვით ერთ მომენტს, როცა სტადიონზე მისვლისთანავე მინდვრის სანახავად გავედით ფეხბურთელები და ტრიბუნები იმ დროსაც სავსე იყო. ცდილობენ, რომ უცხოელებით აამაღლონ ჩემპიონატის დონე. როგორც იცით, იქ თამაშობდა რივალდოც და მწვრთნელებად უმუშავიათ ზიკოსა და სკოლარის.

***— შემდეგ ისევ ევროპაში დაბრუნდი და მესამე უცხოური კლუბი, რომელსაც კარიერა დაუკავშირე რიგის „სკონტო“ იყო.***

— მოგეხსენებათ, „სკონტო“ ლატვიური კლუბია და ევროპაში მაინც სხვანაირად უყურებენ ყველაფერს. აქეთ მაინც უფრო მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები და სხვანი. გამიმართლა, რომ თამაზ პერტია მყავდა მწვრთნელი, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მას შეუძლია, სხვანაირად შეგახედოს ყველაფერს. ამასთან, დიდი ფსიქოლოგიცაა და ბრწყინვალე ანალიზის უნარიც აქვს. მწვრთნელებში ძირითადად ყველგან გამიმართლა. „სკონტო“ მთელ ბალტიისპირეთში ყველაზე გამოკვეთილი გუნდია. ჩვენ იქ ადვილი თამაში არ გვქონია. ისეთ ფეხბურთს ვთამაშობდით, ბურთი უმისამართოდ არ უნდა მოგვეშორებინა, ამიტომ ბურთის ფლობა გვქონდა 60-70 პროცენტი და მეტი.

***— დროა, „ტორპედოზე“ გადმოვერთოთ, ადაპტაცია ხომ არ გაგჭირვებია?***

— არანაირად, ეს ბიჭები ჩემი ძველი ნაცნობები და მეგობრები არიან. იცით, რომ გორის „დილაში“ ყოფნის დროს გიორგი დარასელიასთან ერთად ნამუშევარი მაქვს და შეიძლება ითქვას, უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. ანუ, რომ გამომხედავს ვიცი უკვე, რაც უნდა ვქნა.

***— ქუთაისსა და „ტორპედოს“ თავის გულშემატკივრებთან ერთად რამდენად კარგად იცნობ?***

— „ტორპედო“ გამორჩეულია იმით, რომ ჰყავს ერთგული გულშემატკივრები, ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში აქვს თავისი ნიშა და მდიდარი ისტორიაც. ქუთაისში ბევრჯერ მითამაშია „ტორპედოს“ წინააღმდეგ და რომელ ადგილზეც უნდა ყოფილიყო ეს გუნდი, სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა სტადიონზე. ამას, იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ დღეს „ტორპედოს“ ფეხბურთელი ვარ. ვიცი, რომ ფეხბურთელების მიმართ აქ სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ. ეს ჩვენთვის კარგია, რადგან სულ ტონუსში ვიქნებით. როცა „ვიტ ჯორჯიას“ უწევდა ქუთაისში ჩასვლა, ყოველთვის გვსიამოვნებდა, იმიტომ, რომ ვიცოდით ხალხი მოვიდოდა სტადიონზე. ეს დიდ სტიმულს გვაძლებდა. ბოლო დროს, თუ დასწრებამ იკლო, ამას ხალხს ნუ დავაბრალებთ. ჩვენ უნდა შევძლოთ რომ დავაბრუნოთ ისინი სტადიონზე. მივცეთ იმის სურვილი, რომ იარონ თამაშებზე და ისიამოვნონ. სანამ ახალ გუნდში გადახვალ, პირველ რიგში, ფეხბურთელი კითხულობს იმ გუნდის ამბიციას. აქ ითქვა, რომ „ტორპედოს“ ამ სეზონში აქვს ევროასპარეზზე გასვლის ამბიცია. შემდეგი სეზონიდან კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გიორგი დარასელიას ფაქტორიც, საერთოდ, თუ იცი მწვრთნელის მიდგომა, ფსიქოლოგია, იდეოლოგია და გსიამოვნებს მასთან ურთიერთობა, ამას რა ჯობია?! მინდა გითხრათ, რომ ქუთაისში მყავს ერთადერთი ნათლია ზურა ცინცაძე, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორია.

***— როგორ გუნდად ყალიბდება „ტორპედო“?***

— გუნდში ძალიან კარგი განწყობაა, ბიჭები ერთი საათით ადრე მოვდივართ ვარჯიშზე. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კარგ შედეგს გამოიღებს. კლუბის ხელმძღვანელობაც ყველაფერს აკეთებს, რომ გუნდი ეტაპობრივად გაძლიერდეს. კი, ყველას სწრაფად გვინდა წარმატებები, მაგრამ ეს ადვილი არაა. მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცემა და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ, ასევე ქუთაისელ გულშემატკივრებს გვინდა.

***— ვინ არის ფეხბურთელი, რომელთანაც თამაში ყველაზე უკეთ გამოგდის?***

— თუ იმათზე ვიტყვი, ვინც ჩემს პოზიციაზე თამაშობს, ძალიან მსიამოვნებდა კახი მახარაძის გვერდით თამაში, კარგი წყვილი ვიყავით. ასევე, „ვიტ ჯორჯიაში“ უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს მე და ჯაბა ლიპარტია. „სკონტოში“ იყო ლატვიელი იური ლაიზენცი, მასაც მშვენივრად ვეწყობოდი.



***— ორივე ფეხით თამაში ერთნაირად შეგიძლია, ამიტომ გკითხავ, რომელ პოზიციაზე გრძნობ თავს ყველაზე კომფორტულად?***

— „ვიტ ჯორჯიაში“ მარცხენა ნახევარმცველად მათამაშებდნენ. ტაშკენტის „პახტაკორსა“ და რიგის „სკონტოში“ კი — შუა ნახევარმცველად. არც ფლანგზე თამაშია ჩემთვის პრობლემა, მაგრამ „ცენტრალურად“ ყოფნა იმიტომ მიყვარს, რომ მატჩის განმავლობაში ბურთს უფრო ხშირად ვეხები და თამაშის წაყვანაც მეტად შემიძლია.

***— ფეხბურთში და ცხოვრებაშიც უკვე საკმაოდ ბევრი გინახავს, კმაყოფილი ხარ წარსულით?***

— დიახ, პირველი გოლებიდან და თამაშებიდან მოყოლებული დღემდე განვლილი გზით კმაყოფილი ვარ. დღევანდელი გამოცდილებიდან შეიძლება ისეთი ნაბიჯები არ გადამედგა, როგორიც ადრე, მაგრამ მაინც არ ვნანობ არაფერს. ალბათ, ასე იყო საჭირო.

***— საინტერესოა, რომელ ევროპულ საფეხბურთო კლუბს გულშემატკივრობ?***

— ბავშვობიდან ტურინის „იუვენტუსს“ ვგულშემატკივრობ. ამ კლუბის სიყვარულის გამო დავიწყე ფეხბურთზე სიარული. დელ პიერო იყო ჩემი კუმირი. სახლში მასზე დაწერილ სტატიებსა და ციტატებსაც ვაგროვებდი, მათ შორის მახსოვს ზინედინ ზიდანის სიტყვებიც მქონდა კედელზე გამოკრული, სადაც ეწერა, რომ მისთვის საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ დელ პიერო იყო. შესაბამისად, იტალიის ნაკრებსაც ვგულშემატკივრობ.

## ევროპული სატრანსფერო საგა

უცხოური მედიის თანახმად 16 წლის ნორვეგიელი ნიჭიერი ფეხბურთელის მარტინ ოდეგაარდის „რეად მადრიდში“ გადასვლის საკითხი უკვე შეთანხმებულია.

ნორვეგიული გამოცემების ცნობით ოდეგაარდმა მადრიდულ კლუბთან გრძელვადიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კლუბი გამოსასყიდ თანხა 3,5 მილიონ ევროს ახლავე გადაიხდის იმ პირობით, რომ სატრანსფერო თანხა მაქსიმუმ შემდგომი 7 მილიონი ევროთი გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ ოდეგარდის ესპანეთში გადასვლა გაამართლებს.

ფეხბურთელის მადრიდში გადასვლაზე წერს ესპანური გამოცემა „მარკაც“, იმ განსხვავებით, რომ სხვა ციფრებს ასახელებს: საწყისი სატრანსფერო თანხა ორი მილიონი ევრო მაქსიმუმ შემდგომი ორი მილიონის დამატებით.

ბოლო პერიოდში მედიაში ასევე გავრცელებული ცნობებით, მარკო როისი თითქმის შეთანხმებულია „რეალ მადრიდთან“. მართალია, მას ხელშეკრულება გერმანულ კლუბთან 2017 წლამდე აქვს, მაგრამ ხელშეკრულებაში არსებული ერთი პუნქტის მიხედვით, კლუბის დატოვებაც შეუძლია, თუ ამის სურვილი ექნება.

მარკო როისმა ჟურნალისტების ინტერესი შემდეგი პასუხით დააკმაყოფილა:

— ახლა ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, როდემდე გრძელდება ჩემი ხელშეკრულება, მნიშვნელოვანი თავად კლუბია. საუბარი ცალკეულ პიროვნებაზე არ არის, გასავარდნი ზონიდან უნდა ამოვიდეთ. ეს თემა პირველ ადგილზეა. განკურნების პროცესმა კარგად ჩაიარა, თავისუფლად ვარჯიში შემიძლია, თუმცა რამდენიმე პროცენტი მაკლია. მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: მალე ჩავდგე ფორმაში და დავეხმარო გუნდს.

როგორც ევროპული პრესა იუწყება, ტურინის „იუვენტუსი“ შემტევი ნახევარმცველის შეძენას გეგმავს, კანდიდატებში კი „დორტმუნდის“ ნახევარმცველი ჰენრიხ მხითარიანი და „გალათასარაის“ შემტევი უესლი სნეიდერია.

მხითარიანის ყოფილი კლუბის, დონეცკის „შახტარის“ თავკაცი მირჩა ლუჩესკუ მიიჩნევს, რომ სომეხი ფეხბურთელის „დორტმუნდიდან“ „იუვენტუსში“ გადასვლა ორივე მხარეს წაადგება.

მირჩა ლუჩესკუ:

— სულაც არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მხითარიანი „იუვენტუსის“ მაისურში ვნახო. ჰენრიხი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ქომაგებისგან სიყვარულს იმსახურებს, „დორტმუნდში“ კი სერიოზულ წნეხში იმყოფება. ვფიქრობ, მის დორტმუნდულ კარიერას წერტილი უნდა დაესვას. მხითარიანი სნეიდერზე სწრაფია და თან, უფრო მეტს მოძრაობს. საგოლე მომენტებს ქმნის, ართმევაზეც თამაშობს და არასდროს ჩერდება. მისი ყაიდის ფეხბურთელი ნებისმიერი გუნდისთვის მისწრებაა.

ამ სეზონში მხითარიანმა „დორტმუნდის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 12 მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა.

თავის მხრივ დორტმუნდელები ტრავმირებული სებასტიან კელის შემცვლელის ძებნას იწყებს და, როგორც ჩანს, იპოვა კიდეც. როგორც „ბილდი“ ამტკიცებს, იურგენ კლოპის გუნდი თავისუფალი აგენტის ბაზრიდან აიყვანს მადრიდის „რეალის“ ყოფილ ნახევარმცველს, ლასანა დიარას, რომელიც ზაფხულიდან კლუბის გარეშეა დარჩენილი. დიარა ბოლოს მოსკოვის „ლოკომოტივში“ თამაშობდა და მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

## ოლიმპი მზადებას საქართველოში გააგრძელებს

საკალათბურთო კლუბმა „ოლიმპმა“ ღია ვარჯიში ჩაატარა. ვარჯიშზე წარმოდგენილი იყო „ოლიმპის“ ძირითადი და 20-წლამდელთა გუნდები, რომლებიც სულ ახლახანს დაბრუნდნენ ლატვიიდან. მთავარი გუნდის რიგებს შეემატა ორი ახალი კალათბურთელი — გიორგი ცირეკიძე (სიმაღლე 202 სმ) და სერბი ლეგიონერი, მარკო დუჟკოვიჩი (სიმაღლე 226 სმ). სანაცვლოდ, გუნდს გამოაკლდა სამი მოთამაშე — ირაკლი ალხანაიძე, ზვიად ანთაძე და ბექა ქარცივაძე, რომლებსაც იანვარში კონტრაქტის ვადა ამოეწურათ და კლუბმა აღარ განაგრძო მათთან თანამშრომლობა.

შეგახსენებთ, რომ 3-დან 12 იანვრის ჩათვლით, „ოლიმპი“ შეკრებაზე ლატვიაში, ქალაქ ვალმეირაში, გახლდათ. იქ, ორივე გუნდმა, 3-3 ამხანაგური მატჩი ჩაატარა ლატვიის წამყვან გუნდებთან. „ოლიმპის“ ძირითადი გუნდი ვალმეირადან 1 მოგებითა და 2 წაგებით დაბრუნდა (ვალმეირა-ოლიმპი 80:74; იელგავა-ოლიმპი 103:88; ვია ვალმეირა-ოლიმპი 57:92), 20-წლამდელები კი, პირიქით, 2 მოგებითა (4 და 7-ქულიანი სხვაობით) და 1 წაგებით (5-ქულიანი სხვაობით).

სუპერლიგისა და 20-წლამდელთა ჩემპიონატებში გამოცხადებული ერთთვიანი პაუზა „ოლიმპმა“ დატვირთულ გრაფიკში, ვარჯიშსა და ფიზიკურ მომზადებაში, გაატარა.

**გია კაზანჯიანი, ოლიმპის მთავარი მწვრთნელი:**

— გუნდში ცვლილება გვაქვს, ორი ახალი კალათბურთელი დავიმატეთ. საქართველოში მაღალი მოთამაშეების პრობლემაა, ამიტომ გუნდი ლეგიონერი ცენტრით, სერბი მარკო დუჟკოვიჩით გავაძლიერეთ. მეორე ახალი მოთამაშე, ახალგაზრდა და პერსპექტიული, გიორგი ცირეკიძეა, ის ჩვენთან ქუთაისიდან გადმოვიდა. რაც შეეხება ლატვიაში ჩატარებულ 9 დღიან შეკრებას, ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით საქართველოში. „ოლიმპი“ ახალგაზრდებზე ორიენტირებული გუნდია და მათ უმრავლესობას არ ჰქონია უცხოურ გუნდებთან თამაშის გამოცდილება. საკმაოდ კარგად იასპარეზეს. ჩატარებული 6 მატჩიდან 3 მოიგეს, ლატვიის უმაღლესი ლიგის და ბალტიის ლიგის გუნდებთან.

ნიკოლოზ ლომიძე, ოლიმპის 20-წლამდელთა გუნდის კალათბურთელი:

— უმაღლესი ლიგის და 20-წლამდელთა გუნდებმა 3-3 ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ ლატვიის 1-2 დივიზიონის გუნდებთან. ეს ჩვენთვის დიდი გამოცდილება იყო, რადგან ჩვენს უმრავლესობას მსგავსი პრაქტიკა აქამდე არ ჰქონია. ორი თამაში მოვიგეთ დუბლებმა, მათ შორის, „ვეფ რიგის“ საკმაოდ გამოცდილ გუნდთან. ლატვიაში შეუსვენებლად ვვარჯიშობდით და დაბრუნებისთანავე განვაახლეთ ვარჯიშები. თითქმის არ დაგვისვენია ეს ერთი თვე, რაც ჩემპიონატებზე დასვენება გამოცხადდა. წელს ჩემპიონობას ვაპირებთ და ეს გამოცდილება, საქართველოს ჩემპიონატზე ძალიან გამოგვადგება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი ... პროსტატიტი, ...

მის.: მეტრო „დიდუბე“, ... 1-ლი ხარ., ბინ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# პატრიარქმა 1000-ზე მეტი ბავშვი მონათლა

ეკა ირემაშვილი



სამების საკათედრო ტაძარში 38-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კიდევ 1000-ზე მეტი ჩვილი მონათლა.

ტრადიციული საყოველთაო ნათლობის ცერემონია სამების ტაძარში ჩატარდა. პატრიარქის ნათლულებს სანთლები, ჯვრები, საშობაო ეპისტოლე და ტკბილეული გადაეცათ. ნათლობის დასრულების შემდეგ, ტაძარში ილია მეორე მიბრძანდა და თავისი ახალი ნათლულები დალოცა.

მისმა უწმინდესობამ ყოველი ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილის ნათლიობის ინიციატივა 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე გააჟღერა და ეს სიახლე საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაწერა.

ილია მეორის ინიციატივით, ის ჯვარდაწერილი ოჯახების მეოთხე და მომდევნო შვილების ნათლიაც გახდება, რა თქმა უნდა, მშობლების თანხმობის შემთხვევაში. პატარებს ქართული ეკლესიის ტახტის მცველის ტიტული გადაეცემათ, მათ მშობლებს კი გმირი მშობლების სტატუსი მიენიჭებათ.

სამებაში სასულიერო პირები აწყობენ შეხვედრებს პატრიარქის ნათლულებთან და მიმდინარეობს შემეცნებითი საუბრები იმ მადლთან დაკავშირებით, რასაც ილია მეორის ნათლიობა ჰქვია. როგორც ერთ-ერთ შეხვედრაზე ითქვა, არის ინიციატივა, რომ პატრიარქის ნათლულების სახელზე აშენდეს ტაძარი, რომელსაც სურვილის შემთხვევაში ილია მეორის ნათლულთა ოჯახებიც შეეწევიან.

38 საყოველთაო ნათლობის შედეგად, ამჟამად ილია მეორეს 23.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

# „ლუჩია დი ლამერმური“ აღდგენილია

ეკა ირემაშვილი

გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმული“ ქართულ საოპერო რეპერტუარში დაბრუნდა. 52-წლიანი პაუზის შემდეგ დონიცეტის ოპერა თბილისში ისევ შესრულდება.

პირველი საოპერო სეზონი თბილისში 1851 წლის 9 ნოემბერს სწორედ დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურით“ გაიხსნა და გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად. ეს ოპერა თბილისის ოპერის თეატრის რეპერტუარის განუყოფელი ნაწილი 1951 წლამდე იყო. „ლუჩია დი ლამერმური“ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ბოლოს 1963 წლის დეკემბერში შესრულდა.

28, 30 იანვარს 52-წლიანი პაუზის შემდეგ გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურის“ პრემიერა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო შესრულებით იქნება წარმოდგენილი.

მთავარ პარტიებს ასრულებენ მარიკა მაჩიტიძე (ლუჩია), არმაზ დარაშვილი, ოთარ ჯორჯიკია (ედგარდო), ზაალ ხელაია, ვახტანგ ჯაშიაშვილი (ენრიკო), ლევი იმედაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯიღაური (რაიმონდო), თათია ჯიბლაძე (ალისა), აჩიკო გოგიტიძე (არტურო), თამაზ საგინაძე (ნორმანო), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და ორკესტრი მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი შალვა შაორშაძე, დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი.

# უმოძრაო ცხოვრების წესი უფრო სახიფათოა, ვიდრე სიმსუქნე



არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელობის ბევრ პრობლემას უკავშირდება, კიბოსა და გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების ჩათვლით. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური ვარჯიშების არქონისას ნაადრევი სიკვდილის რისკი ორჯერ მაღალია, ვიდრე სიმსუქნისას. ფიზიკური აქტივობის უმნიშვნელოდ ამაღლებისას ადამიანს მნიშვნელოვნად შეუძლია საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცება, — წერს „საინეს უორლდ რეპორტი“.

კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტები ფიზიკური აქტივობის დონესა და ნაადრევ სიკვდილს შორის კავშირს სწავლობდნენ. მკვლევრებმა 334161 მამაკაცისა და ქალის მონაცემები გააანალიზეს. 12 წლის განმავლობაში მეცნიერები ზომავდნენ მონაწილეების სიმაღლეს, წონასა და წელის გარშემოწერილობას, ასევე მათი ფიზიკური აქტივობის დონეს აფასებდნენ.

ანალიზმა აჩვენა: ყოველდღიური ფიზიკური დატვირთები 20-წუთიანი სწრაფი სიარულის ეკვივალენტურია, ადამიანი არააქტიური ჯგუფიდან ზომიერად აქტიურში გადაჰყავდა და ნაადრევი სიკვდილის რისკს 16-30%-ით ამცირებდა. ასე რომ, მარტივ ფიზიკურ ვარჯიშს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა შეუძლია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ჩემს ვაჟკაცურ ყვარლელ სიძეს
(ანუ მთის ვეფხვს)
**ვალოდია ბეჟიკელაშვილს**
ვულოცავ დაბადებიდან 65-ე წლისთავს
— 23 იანვარს.
ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას
გამთლიანებულსა და დამოუკიდებელ საქართველოში.
*პატივისცემით, ზურაბ მამულაშვილი*



# ულოცავენ გურამ გურგენიძეს

ბატონო გურამ, მხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს — 80 წელს!

აღსანიშნავია შენი წვლილი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემის მშენებლობაში, განსაკუთრებით მსოფლიოში პირველი სამრეწველო-საცდელი მიწისქვეშა სატრანსპორტო საშუალების „პნევმოტრანსპორტის“ მშენებლობის ხელმძღვანელობა.

შენ ის კაცი ხარ, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე სიკეთესა და სიყვარულს თესავს, გულითადად გვინდა, გვყავდე ჯანმრთელად, დიდხანს იცოცხლო და იხარო შენს ძვირფას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

*გიორგი თოთიბაძე, ნუგზარ გეგია, ნელი ბალანჩივაძე, ბიჭიკო ლომინაძე, ანრი აბაშიძე, ზაქრო ალადაშვილი, დავით მჟავანაძე, თემურ გედევანიშვილი, ილია ხერხეულიძე, იური არაბიძე, შოთა გურგენიძე, თამაზ ქღენტი, იურა ჯუღელი, გურამ გურული*

სპორტი

# დავით ბოღლაშვილი: უკვე დროა, სხვა ტონით ვილაპარაკოთ

უცხოეთში ქართველ მორაგბეებთან ერთად რაგბის ქართველი მწვრთნელების რაოდენობაც ნელ-ნელა იზრდება. ვიქტორ დიდებულიძე ფარნგული კლუბის „მასის“ თავკაცია, გია ლაბაძე და ზურაბ მჭედლიშვილი, შესაბამისად, „ტულონისა“ და „დომონის“ ბავშვთა გუნდების დამრიგებლები არიან. ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი იყო ლევან მგელაძე, უკრაინელებს ზაზა ლეჟავა მოძღვრავდა. ახლახან კი, საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ლილის“ მთავარ მწვრთნელად დავით ბოლღაშვილი დაინიშნა. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

— თავიდან „ლილის“ სათადარიგო გუნდის მწვრთნელი ვიყავი და მთავარ გუნდში ასისტენტად ვმუშაობდი. ჩემი გუნდი „ესპუარების“ გათამაშებაში პლეი ოფში გავიყვანე. ძირითადი გუნდიც თითქოს ნორმალურად თამაშობდა, მაგრამ სტაბილურობა აკლდა, ხშირად მოსდიოდა ჩავარდნები. კლუბის პრეზიდენტმა რომ ნახა, რაოდენ კარგად ვუგებდით მე და მეორე მწვრთნელი ერთმანეთს, გადაწყვიტა, უფროსი მწვრთნელი თანამდებობიდან გადაეყენებინა. მის ნაცვლად კი მე დამნიშნა, რათა „ლილის“ ძირითადი გუნდი ზუსტად იმ ტაქტიკით მეთამაშებინა, რომლითაც სათადრიგოები ასპარეზობდენ.

***— თქვენი ხელმძღვანელობით გუნდმა უკვე ითამაშა?***

— დიახ, გასულ უქმეებზე სტუმრად ვითამაშეთ „ლიბურნთან“ და 3:10 წავაგეთ. ცოტა უამინდობამ შეგვიშალა ხელი, ცოტა იღბალმაც გვიმტყუნა. ოთხი საჯარიმო ვერ გავიტანეთ. მეტოქემ კი ლელო დაფარების შემდეგ გაგვიტანა. ჩვენც მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ — არ ვარ კმაყოფილი.

***— გუნდის ხელმძღვანელებმა მიზნად რას დასახეს?***

— წლეულს აუცილებლად უნდა გავიდეთ პლეი ოფში და იქ ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასვლისთვის ვიბრძოლოთ.

***— მეორე დივიზიონი პროფესიული ლიგაა, სადაც გუნდი კონკრეტულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. აქვს „ლილს“ სათანადო ინფრასტრუქტურა და ფინანსური მხარდაჭერა?***

— „ლილს“ შესანიშნავი ინფრასტრუქტურა აქვს. ახლახან საფეხბურთო კლუბის ძველი სტადიონი გადმოგვცეს, რომელიც 20.000 მაყურებელს იტევს. ასეთი არენა პირველ დივიზიონში მოთამაშე ბევრ გუნდს არ აქვს. ამდენად, ეს პრობლემა მოგვარებულია. ფინანსურად კი, არც ახლა ვართ ცუდად. თუმცა, თუ მეორე დივიზიონში გადასვლას შევძლებთ, მეტი თანხის მოზიდვა იქნება შესაძლებელი. ერთი სიტყვით, ჩვენ ვეცდებით რანგით მაღალ დივიზიონში გადავბარგდეთ, მაგრამ თუ ვერ შევძელით, ეს კატასტროფა არ იქნება. მომავალ წელს ისევ ვეცდებით და ასე შემდეგ.

***— „ლილში“ ორი ქართველი თამაშობს — გიორგი ჩხაიძე და გიო სორდია.***

— ორივე ძირითადის მოთამაშეა. გიორგი ჩხაიძე ძალიან კარგ ფორმაშია, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მორაგბეა. სორდიამ ახლახან მხარი იტკინა, მაგრამ, ვფიქრობ, სერიოზული არაფერია, იმედი მაქვს მწყობრში მალე ჩადგება.

***— ფედერალ 1 დივიზიონის გუნდის მწვრთნელობას სპეციალური ლიცენზია სჭირდება.***

— დიახ, სათანადო კურსები „მარკუსში“, რომელიც საფრანგეთის რაგბის განვითარების ცენტრია, გავლილი მაქვს. გამოცდა ჩავაბარე და ფედერალ 1 დივიზიონის გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობის უფლება მაქვს. ახლა კიდევ ერთ კურსს გავდივარ, რომლის შემდეგაც ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდის მწვრთნელობის უფლებასაც მივიღებ.

***— საფრანგეთში ქართველი მწვრთნელები მომრავლდნენ. თქვენ, ვიქტორ დიდებულიძე, გია ლაბაძე და ზურაბ მჭედლიშვილი. ალბათ, საქართველოს ნაკრებს ქართველ მწვრთნელთა შტაბი ეყოლება.***

— რა თქმა უნდა, ყველა ქართველი მორაგბის ოცნებაა საქართველოს ნაკრებს ემსახუროს. მათ შორის მწვრთნელებიც ამაზე ფიქრობენ. მაგრამ, ამას ჯერ დრო უნდა. ჯერ გამოცდილება უნდა მივიღოთ, ბევრი რამ გვაქვს კიდევ სასწავლი და ნელ-ნელა ეგ დროც მოვა. ნაკრებში ძალიან კარგი თაობა მოდის და ძალიან კარგი იქნება მათთან ერთად წარმატებას თუ მივაღწევთ.

***— რომ შევადაროთ ახლანდელი ნაკრები იმ გუნდს, რომლის ღირსებასაც თქვენ იცავდით, რას იტყვით, წინ ვართ წასულები?***

— დიახ, ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ცოტა გარემარბებში გვიჭირს. შერკინება კი სრული შემადგენლობით ელიტაში თამაშობს. ვფიქრობ, ამ ხარვეზსაც ეშველება. ძალიან კარგი მორაგბე გამოჩნდა — მერაბ შარიქაძე, სხვაც ბევრია საინტერესო მოთამაშე. ერთი სიტყვით, გუნდზე, რომელმაც სამოას და იაპონიას მოუგო, უკვე დროა სხვა ტონით ვილაპარაკოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# h3xცეx3ებ ,



**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. გერმანიის პრეზიდენტი; 3. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 4. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილება; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. პეკინის მეორე სახელწოდება; 12. ღვინის დანალექი; 13. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 20. ქართული ნაციონალური კერძი; 23. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 24. პურეული მცენარე; 25. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 26. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. სახელმწიფო ევროპაში;

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯ3ც3იბ უფ3ჯმეც.ყც,ებ h3xცეx3ეც,ბც გფცე[ც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წუღა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 5. როზეტი; 9. მინანქარი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. მაწონი; 10. ცანა; 11. ჰეროინი; 13. წნორი; 15. მუჯირი; 17. ყირმიზი; 18. ხუცესი; 19. ფაუსტი; 20. ლიქიორი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჯულეპი; 2. ხირსა; 3. ჩხიკვი; 4. ჩუვაჩი; 6. ლალიონი; 9. რიონი; 11. პიანინო; 15. ტონზილიტი; 16. კოდაკი; 17. კემერონი; 19. ომმეტრი; 21. ბოკვერი; 22. სუნამო.

**თარაზულად;** 5. იუპიტერი; 7. ალაზანი; 8. ტვენტე; 10. მირკანი; 12. ჩხუტი; 13. კლიპი; 14. აინშტაინი; 18. პონტო; 20. ჰოპერი; 23. ბუტიკი; 24. კოღო; 25. ასკერი; 26. მუტი; 27. პროფანი.

ეკა ირემაშვილი

# მიშა გომიაშვილი: რატომ ვიბოღმებით?“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი საზოგადოებაში ჩაბუდებულ შურსა და ბოღმაზე საუბრობს და ადამიანებს მეტი სილაღისკენ მოუწოდებს:

„მაპატიეთ, მაგრამ ვეღარ ავიტანე. გასკდა გული. დღევანდელ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყნის, ჯერ კიდევ გადარჩენის მეტრონომია ჩართული და რით ვეღარ გადარჩა ეს ქვეყანა? კავკასიური ცარცის წრე მახსენდება. თუ ვინმემ პოსტში დამიწერა „კიდევ ჩაიფსი მიხეილ?“ ყველა ძალიან მიყვარხართ და „მოგიკითხავთ“. ამ დროს როცა ეკლესია ტაძრებს გვედავებიან, როცა ადამიანებს შვილის საფლავზე მისულებს აფეთქებენ, როდესაც ჩვენ ბედნიერნი უნდა ვიყოთ, რამეთუ ჩვენი, ქართველი, ქართული ეკლესიის ჭეშმარიტი ქრისტიანი, მამა ილია სიცოცხლეს წირავს სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად და ამით კიდევ ერთხელ მთელ მსოფლიოს ამცნობს რომ არსებობს ამ ქვეყნად ქვეყანა „საქართველო“... მეტი რაღა ქნას უფალმა? პირდაპირ გვეუბნება, რომ დღეს ჩვენ ვართ მსოფლიოს ყურადღების ქვეშ და ჩვენსკენ არის მომართული ყურადღება! და რას ვაკეთებთ ჩვენ? ჩვენი თანამემამულის გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის გამარჯვება გვძაბავს და გვბოღმავს, გვაღიზიანებს? რატომ? ჩვენ ხომ ხელოვნების ქვეყანა ვართ! მე მხედველობაში მაქვს ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“. ეს ხომ მთელი ქვეყნის დიდი გამარჯვებაა. მსოფლიოს უდიდესი რეჟისორები, თავის კინო ბიოგრაფიაში დიდი სიამაყით წერენ, რომ ისინი ნომინირებულები იყვნენ ამ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზე. ჩვენ რა გვჭირს? რატომ ვიბოღმებით? გავიხაროთ ერთმანეთის წარმატებით, ბოღმა და შური მავნეა ჩვენი ჯანმრთელობისთვის და უპირველეს ყოვლისა, სულისთვის. ამიტომ გვაცალეთ, ბატონო, ჩვენი საქმის კეთება თქვენთვის! მერე თქვენი უფლებაა, ან მოიწონოთ ან არა და ზეწრის ქვეშ ყურებას მოეშვით. ეს მქექველებს ეხებათ.“



მსახიობი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსაც ეხმაურება და ღია წერილით ბიძინა ივანიშვილს მიმართავს:

„არ დავიწყებ მადლობებით. ეს თქვენი სურვილი იყო რასაც აკეთებდით, ძალიან ბევრი წლების მანძილზე ბევრი ადამიანი გადაარჩინეთ შიმშილით სიკვდილს და ალბათ არის კიდევ ბევრი რამ, რაც ჩვენ არ ვიცით. თქვენ, პირადად თქვენ გამოგყვათ და დაიჯერა თქვენი ქართველმა ერმა. გაუჩნდა იმედის ნაპერწკალი, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის, სასიკეთო მომავლის. ბოლოს და ბოლოს ჩვენი მშვიდი ცხოვრების. იმედი იმისა რომ ჩვენ სიცოცხლეს ასე ვეღარავინ ვეღარ ხელყოფს და ყოველივე ამის და კიდევ ბევრის გარანტად თქვენ გვესახებოდით! ნუთუ „ოცნებამ“ მხოლოდ ოცნება დაგვიტოვა. მე ვერავინ ვერ დამაჯერებს იმას რომ თქვენ არ გიყვართ საქართველო, რომ თქვენ არ შეგტკივათ გული საქართველოზე, რომ თქვენ არ ხართ დღეს ამაყი იმით რაც გააკეთა მამა ილია კარტოზიამ, რომ თქვენ არ შეგძრათ მამა ვაზაგაშვილის მკვლელობამ. მე რომ არ ვიყო ყველაფერში ამაში დარწმუნებული არც მოგმართავდით. ამიტომ, მოგმართავთ, თხოვნით და მოვითხოვ თქვენგან, როგორც დაიწყეთ, როგორც დაგვპირდით, კეთილი ინებეთ და მობრძანდით, დაბრუნდით თქვენს ადგილზე, ადგილზე რომელზეც ქართველმა ხალხმა მოგაბრძანათ, და რაც დაგვპირდით შეასრულეთ! იმედი მაქვს ეს თხოვნა-მოთხოვნა სრულიად საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ახია ჩვენზე ყველაფერი. პატივისცემით მიშა გომიაშვილი.“

## ნიკო ბერიძე ავადმყოფად გამოაცხადეს

ბათუმელი მომღერალი ნიკო ბერიძე, რომლის გულშემატკივართა არმიას დღითიდღე ემატებიან ფანები, ავადმყოფად გამოაცხადეს. ნიკო მსმენელმა სხვადასხვა მუსიკალური პროექტებით გაიცნო. „ორი ვარსკვლავის“, „ჯეოსტარის“ მონაწილე, კოტეს როლის შემსრულებელი დავით დოიაშვილის მიუზიკლში „ქეთო და კოტე“ გაურკვევლობაშია.

როგორც მომღერალი სოციალურ ქსელში აცხადებს, მისი სახელით თაღლითები ფულის შოვნას ცდილობენ. უცნობმა ადამიანებმა ნიკო ავადმყოფად გამოაცხადეს, სპეციალური განცხადებები დაამზადეს და ქუჩებში გააკრეს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნიკო ბერიძეს სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია ისრაელში, აქვე მითითებულია სპეციალური რეკვიზიტები. განცხადების ავტორები მოუწოდებენ საზოგადოებას ნიჭიერი მომღერლის გადარჩენისკენ. როგორც მომღერალმა განმარტა, ეს განცხადება მას საკუთარი სახლის კედელზე დახვდა გაკრული:

„ახლახან დამხვდა ჩემს სახლზე სამსახურიდან რომ დავბრუნდი. ფულის გაკეთება მოგინდათ ჩმორებო?“ — აინტერესებს მომღერალს.

ეკა ირემაშვილი

# ნინო რამიშვილის დაბადებიდან 105 წელი გავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყურებელი, რომელიც ფეხზე წამომდგარი ოვაციას უმართავდა ნინოსა და ილიკოს მიერ გაცოცხლებული ქართული სულის თავგადასავალს, ანსამბლის ვირტუოზ მოცეკვავეთა თაობებს, რომლებიც ბრწყინავდნენ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ პერიოდში მომიწია ანსამბლში მოღვაწეობამ და ამ ორ დიდ ადამიანთან ურთიერთობამ. ესაა ჩემთვის დაუვიწყარი წლები, რომელსაც თვით ქალბატონმა ნინომ სამართლიანად უწოდა ანსამბლის „ოქროს ხანა“. უზომოდ ვამაყობ, რომ ქართული ცეკვის სწორუპოვარ დედოფალს ნინო რამიშვილს პარტნიორობას ვუწევდი განუმეორებელ ცეკვათა ცეკვა „ქართულში“. ნინო რამიშვილისგან, ამ მაღალი ზნეობისა და კეთილშობილი ქალბატონისაგან, ცეკვის გარდა, ბევრი რამ ცხოვრებისეული ვისწავლეთ, რაც დღემდე მოგვყვება. ნინო რამიშვილმა თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით, როგორც ბრწყინვალე მოცეკვავემ, დიდებულმა ქორეოგრაფმა, რეპეტიტორმა და პედაგოგმა უმდიდრესი მემკვიდრეობა დატოვა ეროვნულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სიცოცხლე გრძელდება მათ პირმშო ანსამბლში, დღეს „ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები და რამიშვილები“, მე ასე ვუწოდებ მათ! გრძელდება სახელოვნად მათი ღირსეული შთამომავლების, ჯერ თენგიზ სუხიშვილის, დღეს კი უმცროსი ნინო და ილიკო სუხიშვილების მიერ ნიჭიერად, სიყვარულითა და რუდუნებით, რომლებიც კვლავ ტრიუმფით წარმოაჩენენ ქართულ ხელოვნებას მსოფლიოში. დიდი ნინოსა და ილიკოს სიცოცხლე გრძელდება ანსამბლის ყველა თაობის მოცეკვავეთა გულებში, მათი ურიცხვი თაყვანისმცემლების მეხსიერებაში. ეს კი დიდ შემოქმედთა სამარადისო უკვდავებაა. მიმდინარე წელს ნინოსა და ილიკოს ლეგენდარულ ანსამბლს 70 წელი უსრულდება და ქართველი ხალხი კიდევ არაერთხელ გაიხსენებს და პატივს მიაგებს მათ უდიდეს ღვაწლს ჩვენი ქვეყნისა და მისი დიდი კულტურის წინაშე.

**ფრიდონ სულაბერიძე:**

— ქალბატონ ნინოზე ბევრი მისაუბრია და ის ჩემთვის არის ქართული ცეკვის დედოფალი. მან დიდი საქმე გააკეთა ქართული ცეკვისთვის. იცით როგორი ხელმძღვანელი იყო? საოცარი თვალი ჰქონდა. 100 კაცი რომ ცეკვავდა და ვიღაც არ აკეთებდა სწორად ილეთს, იმას ხედავდა. საოცრად გემოვნებიანი იყო. დადგმულ ცეკვას ისეთ რაღაცებს მოაცილებდა, რომელიც აფუჭებდა ცეკვას და ტოვებდა სუფთა კლასიკურ ნომერს, რომელიც გამოჰქონდა სცენაზე და ეს აგიჟებდა მსოფლიოს. საოცარი რეპეტიციები მახსოვს, 5-7 საათი ვრეპეტიციობდით გაუჩერებლად. მარტო ყავას სვამდა და სიგარეტს ეწეოდა. რომ შემოვიდოდა დილის 10 საათზე, დაჯდებოდა სკამზე, დაიძახებდა „დოლი“, ხუთი საათი ჰაერში ვიყავით დაკიდებულები და მიდიოდა გაუჩერებელი მუშაობა. ძალიან გვიყვარდა ქალბატონი ნინო, სწორად მსჯელობდა, არასდროს დაგჩაგრავდა, არც ზედმეტს გეტყოდა, თუ იყავი შრომისმოყვარე. თუ აშავებდი, მაშინ ჩემს მტერს! ის იყო ძალიან დაუნდობელი. თავის თავთანაც ასეთი იყო. არ უშვებდა არც ერთ ნომერს, როცა მიდიოდა ჩვენი კონცერტი, გრიმგაკეთებული, იდგა კულისში ხალათში და გვიყურებდა როგორ ვცეკვავდით. თუკი ვინმე არ გააკეთებდა რაღაცას, შეეძლო გამოეთრია სცენიდან. არაჩვეულებრივი მეუღლე და დედა იყო, ძალიან ერთგული იყო თავისი საქმის. ილიკო სუხიშვილს გაუმართლა, რომ ასეთი ცხოვრების მეგზური შეხვდა.

**ჯუმბერ ბერაძე:**

— ნინო რამიშვილზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო და ეს არასოდეს მომბეზრდება. მიმაჩნია, რომ ნინო რამიშვილის ფენომენი ჯერ კიდევ ამოუცნობია ქართული საზოგადოებისთვის. ბედნიერი კაცი ვარ, რომ ბედმა გამიღიმა და მოვხვდი ამ ანსამბლში, 17 წლის არ ვიყავი და ქალბატონი ნინოს ხელმძღვანელობის ქვეშ ვმუშაობდი დაახლოებით 20 წელი. მთელი ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება იქ გავლიე. თუ ჩემში არის რაიმე, ეს ამ დიდებული ქალბატონის დამსახურებაა. ცეკვას რომ თავი დავანებო, ვმუშაობდი ხელოვნებაში, ახლა ბიზნესში ვარ და მისი რჩევები ახლაც მადგება. ის იყო არა მარტო დიდი ქორეოგრაფი, არამედ საოცრად დიდი მოაზროვნე ადამიანი, დიდი აზროვნების ჰორიზონტი ჰქონდა, უაღრესად კულტურული, უაღრესად „სვეცკაია დამა“. შეიძლება ჩვენ სუხიშვილების ანსამბლის წევრებს მკრეხელობაში ჩამოგვართვაან, მაგრამ ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა ქართული ცეკვა გაათანამედროვეს, გაასვეცკეს. ახლა ამ ყველაფერს ავითარებენ მათი შვილიშვილები და მოღვაწეობენ ამ დარგში. ნინა შალვოვნასთან ბევრი რამ მაკავშირებს, მთელმა ჩემმა გარემომყოფებმა იციან, რაოდენ მადლიერი ვარ მისიც და ბატონი ილიკოსიც და ეს მადლი მთელი ჩემი ცხოვრების ბოლომდე გამყვება. ბევრი ამბობს, რომ ნინო რამიშვილი იყო მკაცრი, დიახაც იყო მკაცრი, როცა საჭირო იყო. ის მკაცრი კი არ იყო, ის იყო მომთხოვნი. თუ მისი მოთხოვნა არ სრულდებოდა, მერე უკვე ეს ყველაფერი გადადიოდა სიმკაცრეში. ეს აუცილებელია, რა დარგიც არ უნდა იყოს, თუ მოთხოვნა არ არის, იქ არაფერი გამოვა. ადამიანი ტენდენციური არ უნდა იყო, მაგრამ რიგ შემთხვევაში, მაინც ხარ. მთელი ჩემი ცხოვრება ვარ სუხიშვილების ანსამბლის წევრი, დღესაც ასე მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ ამდენი წელია სულ სხვა სფეროში ვარ.

**ომარ მხეიძე:**

— ანსამბლში წინა პლეადა ჩემზე 8-10-11 წლით უფროსები იყვნენ და მხოლოდ მე ვიყავი 18 წლის. როგორც კი მივედი ანსამბლში, უკვე ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი გავხდი და ნინო რამიშვილის პარტნიორი ვიყავი, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და სიხარული იყო. ამით ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დღესაც. ამ გზას გავყევი, 30 წელიწადი ვიყავი ანსამბლში და ყველა პლეადას მოვესწარი. მე რომ ანსამბლში მივედი მხოლოდ და მხოლოდ 8 წლის დაარსებული იყო. კარგად მახსოვს ვაგონში როგორ ვცხოვრობდით. როცა გასტროლზე გავდიოდით სხვადასხვა ქალაქებში, გამოყოფილი გვქონდა თბილისიდან ვაგონი, რომელშიც ჩვენი ქვეშაგები გვქონდა და გაყოფილი იყო ეს ვაგონი — ნინოს და ილიკოს ვაგონი ცალკე იყო და ჩვენი — ცალკე. ამ ვაგონში მივდიოდით კონცერტის შემდეგ და ვცხოვრობდით, ეს ვაგონი ყოველთვის იდგა რკინიგზის რომელიღაც ჩიხში და სულ მის ძებნაში ვიყავით. გათბობაც იყო და ცხელი ჩაი, ჩვენ ჩვენი კონსერვები გვქონდა, „კერასინკებზე“ ათბობდნენ ქალები და ასე ვიკვებებოდით. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდა ანსამბლი. როცა უკვე გაიხსნა ევროპაში გზები და პარიზში გავედით, მერე ჩვენი პირობები გაუმჯობესდა. ნინო რამიშვილს ყველა ძალიან უყვარდა და ყველას პატივს სცემდა. თავხედი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მქონდა უფლება, როცა მომინდებოდა, მაშინ მივსულიყავი მათ ოჯახში. ნინო რამიშვილი ჩემს ქორწილში მოვიდა, ის ძალიან დიდი სტუმარი იყო, ჩემს მეუღლეს მიართვა ძალიან დიდი საჩუქარი და დედაჩემმა უთხრა, ქალბატონო ნინო, ობლობაში გაზრდილი მყავს ჩემი შვილი და ჩამიბარებია თქვენთვისო. მამა ადრე გარდამეცვალა 7 წლის ვიყავი და დედამ ობლობაში გამზარდა. მართლაც ასე მექცეოდა ნინო რამიშვილი, ის სცენაზე იყო პარტნიორი, რეპეტიციაზე მომთხოვნი. სულ ამბობენ მკაცრი იყოო, გააჩნია ვისთვის იყო, ის სამართლიანად მკაცრი იყო, მისგან შენიშვნა არასოდეს მიმიღია. კარგად მესმოდა, რომ ეს იყო ჩემი პროფესია და ბოლომდე უნდა დავხარჯულიყავი. ანსამბლის სამხატვრო დონე მას ებარა. ის სულ სხვა იყო სახლში, სულ სხვა იყო სამსახურში, სულ სხვა იყო პირად ცხოვრებაში. მე და თენგიზი ერთად ვიზრდებოდით, ერთად გვეძინა. ერთხელ მე და თენგიზი ვიყავით ერთ-ერთ სუფრაზე, გვიან დავბრუნდით სახლში. ნინოს გაუცია ბრძანება, არ გაუშვათ ომარი, აქ დააწვინეთო. დილით ნინოს დედამ გამაღვიძა, ბებიკას ვეძახდით, ჩაი დამალევინა და მითხრა, წადი ახლა, მიუსწარი, სანამ ნინო რეპეტიციაზე მოვაო. ვითომ ნინომ არ იცოდა, რომ მე იქ ვიყავი.

ეკა ირემაშვილი

## ცფვუკჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

გვარში გამორჩეულმა კოლორიტმა პიროვნებამ, უგანათლებულესმა მაღალი დონის პროფესიონალმა, დიდებულმა მეოჯახემ, საიმედო მეგობარმა, უანგარო, ოქრო გულის კოლხმა კაცმა, ძირძველმა სამურზაყანოელმა

**რევაზ ჯოგოს ძე ხურცილავამ**

ნაადრევად დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და მისმა უწმინდესმა სულმა მარადიულ საუფლოში დაივანა უზენაესის განგებით.

ეს უმძიმესი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახისათვის, არამედ მთელი აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოებისათვის. ჩვენი გულისტკივილი განუზომელია ამ ტრაგედიის გამო.

ნათელში ამყოფე მისი უწმინდესი სული, ღმერთო!

ნოდარ ზარანდია, რაჟდენ ქარდავა



შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელექტრომომარაგების სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თეიმურაზ გიორგობიანის დედა, ღვაწლმოსილი პიროვნება, ქალბატონი

**ეთერ გრიგოლის ასული თავბერიძე-გიორგობიანისა**

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ბატონ თეიმურაზს, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

პანაშვიდი: 22, 23 იანვარს.

დაკრძალვა: 24 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: სანზონა, კორპუსი 25.

აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს მინისტრის თანაშემწის, ბატონი რამინ საჯაიას ოჯახს

**ეკა ჯემალის ასულ ლატარიას**

გარდაცვალების გამო.

**ცფვუკჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

ხუთშაბათი
22 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"უკანასკნელი საზღვარი"** 14.20 "პოპკულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"გენსბურგი" გმირული ცხოვრება"** (ე.ელმოსინო)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისთვის" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00, 05.00 ქრონიკა 10.05 სერ. **"უდანაშაულო"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"მენეჯერი და ჰალილი"** 10 სერ. 17.35, 19.03 სერ. **"ბოშა ქალი"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00, 23.00, 00.00 **"შუა ქალაქში - 8"**. 01.00 მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** (ჩ.პალმინტერი) 03.10 მხ/ფ **"უკანასკნელი სიმღერა"** (კ.პრესტონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 23.30 ქ.მხ/ფ. **"ცისფერი მთები"** 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 07.25 ტელეზღაპარი 07.40 წმინდანთა ცხოვრება - აბო თბილელი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "ივერიის ეკლესია" 11.00 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ფოლკლორის ეროვნული სკოლა 15.15 ტელეზღაპარი 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.55 კონცერტი -ლექსო არ დაიკარგები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ **"წყარო გზის პირას"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მწვანე არქიტექტურა 22.25 დ/ფ "ვაჟკაცსა კარგ უნდა ჰ.ვანდის ცხენიო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი" 7.55 "საქმიანი დილა" 9.30 "ბიზნეს კონტაქტი" 10.00 **სერიალი "ჩემი შვილები"** 12.30 "ბიზნეს კონტაქტი/ 13.30 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 18.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00, მხ/ფ **"მე-13 რაიონი"** 2.30 "ბიზნეს კონტაქტი" 3.30 მხ/ფ **"ჩემი ბრალი"**

**გპჯუპფვტ,ბ ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1.9434 |
| ევრო | — 2.2557 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2.9565 |
| 100 რუსული რუბლი | — 2.9864 |

## ამინდის პროგნოზი 22 იანვრისთვის






კალეიდოსკოპი

## შვედი ქალი ხმამაღალი სექსისთვის სახლიდან გამოასახლეს



— დასავლეთ შვედეთში 50 წლის ქალი იჯარით დაქირავებული ბინიდან იმის გამო გამოასახლეს, რომ ის სექსის დროს ხმამაღლა კვნესოდა და ასევე მუსიკის მოსმენაც მაღალ ხმაზე უყვარდა, — იტყობინება დი ლოქალ.

თავდაპირველად მრავალბინიანი სახლის მობინადრეებმა პრობლემური მეზობლის გასახლების მოთხოვნით შენობის მფლობელს მიმართეს. 2014 წელს მათ სახლის მფლობელს ქალის ბინაში გადამეტებული ხმაურის 16 შემთხვევის შესახებ აცნობეს და იქვე დააზუსტეს, რომ ქალის ქცევა მას შემდეგ გახდა აუტანელი, რაც მან ბოიფრენდი გაიჩინა. მაცხოვრებლების თქმით, ისინი შეეცადნენ ქალი დაერწმუნებინათ, რომ უფრო თავშეკავებით მოქცეულიყო, მაგრამ მან მათი რჩევა ყურად არ იღო. შედეგად მფლობელმა ქალი მის მიერ დაკავებული ბინიდან გამოასახლეს, მაგრამ მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სასამართლოში დაზარალებულმა მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მათი მეზობლის ინტიმური ცხოვრება იმდენად აუტანლად ხმამაღალი იყო, რომ მათ ყურებში საცობების გაკეთება უწევთ, რათა ღამე გამოძინება მოახერხონ და დილით სამსახურში დასვენებულები წავიდნენ. სასამართლომ სახლის მფლობელის გადაწყვეტილება კანონიერად სცნო და მეზობლებისთვის მყუდროების დამრღვევს დაკავებული ფართის 2015 წლის 16 მარტამდე განთავისუფლება მოსთხოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ინდირა ჯგერნაია საქართველოდან მიდის

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ინდირა ჯგერნაია, რომელიც მაყურებელმა ჯერ გაიცნო „ჯეოსტარიდან“, მერე იყო „ახალი ხმა“, შემდეგ კი „ნიჭიერი“, სახალხო პროექტის მეხუთე სეზონში „რუსთავი 2“-ის რჩეული გახდა. ტელევიზიის ხელმძღვანელის ნიკა გვარამიას გადაწყვეტილებით, მომღერალს 10.000 ევრო გადაეცა.

არხის გვერდმა ინდირასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა, სადაც ინდირა მოგებულ თანხასა და ემოციებზე საუბრობს.

**ინდირა ჯგერნაია:**

— დიდი მადლობა „რუსთავი 2“-ს უპირველეს ყოვლისა და ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით დამიდგა. ჩემი საჩუქარი იმდენად მოულოდნელი იყო, დღესაც სიზმარში ვარ.

***— ვინმემ გირჩიათ ნიჭიერში გასვლა თუ თქვენით გადაწყვიტეთ?***

— მე ჩემი სურვილით მივედი ნიჭიერში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელი პროექტი იქნებოდა იმ დროისათვის. მაგრამ იყო პროექტები, რომლის გახსენებას არ დავიწყებ და დავუბრუნდები „რუსთავი 2“-ის არაჩვეულებრივ პროექტებს. მაგალითად „ჯეოსტარი“, ეს იყო ჩემი უსაყვარლესი პროექტი, მთავარი ჩემს ცხოვრებაში. ასევე „ვოისიც“ საჭირო იყო, რომ ჩემს შეცდომაზე მესწავლა. მაგრამ საკმაოდ უსამართლო გამოდგა ეს პროექტი და კიდევ ერთხელ დავინახეთ თუ ზოგან რა იაფფასიანი პროდუქტია.



***— გყავთ საყვარელი მომღერალი?***

— საყვარელი მომღერალი ბევრი მყავს. ერთ-ერთთან რუსთავი 2-მა შემახვედრა. ჩემთვის უძვირფასესი დღე, ბეთ ჰარტთან. მე ის სულ დღე მახსოვს, შემიძლია ვთქვა რომ რუსთავი 2 ოცნებებს ასრულებს.

***— ფინალური სიმღერა ვინ შეგირჩიათ?***

— ფინალში სიას სიმღერა ვიმღერე. ძალიან რთული სიმღერაა, ცოტა ვინერვიულე და ამ შიშმა დამაბნია ცოტა სცენაზე, თუმცა ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიყვარს ექსპერიმენტები. ბიონსეც მიმღერია, ოღონდ ბავშვობაში.

***— სიახლეებს გეგმავთ?***

— ნამდვილად ვაპირებ ჩემი რეპერტუარის შექმნას და ამ თანხას კარიერას მოვახმარ. ალბათ, ვჭირდები ჩემს ქვეყანას, რადგან ამ დონეზე დამაფასა ყველაზე საუკეთესო არხმა საქართველოში.

***— საქართველოდან წასვლაზე გიფიქრიათ?***

— აუცილებლად წავალ სადმე, ოღონდ ჯერ ამაზე არ გსაუბრობ.

## ნინო რამიშვილის დაბადებიდან 105 წელი გავიდა



ქართულ ქორეოგრაფიაში გამორჩეული ქალბატონის ნინო რამიშვილის დაბადებიდან 105 წელი გავიდა. ანსამბლ „სუხიშვილების“ დამაარსებლის იუბილე ანსამბლის 70 წლის იუბილეს ემთხვევა. ნინო რამიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, „ახალი თაობა“ ანსამბლის ყოფილ წევრებს, ცნობილ მოცეკვავეებს შეეხმიანა და მისი გახსენება სთხოვა.

**თენგიზ უთმელიძე:**

— ნინო რამიშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრების გზაც პროფესიულ ღვაწლთან ერთად ერის მეხსიერებაში რჩება, როგორც ნიმუში ქვეყნის, ხალხის, თავისი საქმის უანგარო და თავდაუზოგავი მსახურებისა. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ისტორიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ქალი, ვისაც ასე ფართოდ მსოფლიო მასშტაბის მრავალწლიანი ტრიუმფალური გამარჯვებებით ესახელებინოს მშობლიური ქვეყანა და ქართველი ხალხი. მე ნინო რამიშვილს „ქალი ეპოქა“ ვუწოდე. ამ დიდი შემოქმედის უნიკალური ბიოგრაფია ჭეშმარიტად მთელი ეპოქაა. ეს არის ნინო რამიშვილისა და ქართული ცეკვის გულანთებული მოჭირნახულის ილიკო სუხიშვილის მიერ შექმნილი სახელგანთქმული ანსამბლის შთამბეჭდავი ბიოგრაფიაც და ქართული ცეკვის არნახული აღმასვლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდიც. ამ ორი ადამიანის საოცარ ბიოგრაფიაში უპირველესად ირეკლება ჩვენი პლანეტის მილიონობით მა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## იუმორი

***

ქმარი კროსვორდს ავსებს და ცოლს ეკითხება:

— პირველი მამაკაცი, ხუთი ასო?

— ზაური.

— ვინ ზაური, ქალო!!!

***

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

— რატომ ებრძვიან ცხოველების დამცველები ბეწვეულს, ხოლო ტყავის ჩასაცმელზე ხმას არ იღებენ?

— იმიტომ, რომ შეძლებული ქალების შეწუხება, გაცილებით ადვილია, ვიდრე ბაიკერების...

***

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, პრეზერვატივით ხომ ღალატი არ არის?

— აბა რა, მაყუჩიანი პისტოლეტით... მკვლელობა არაა...

***

ექიმის ჩანაწერი:

,,მას შემდეგ, რაც პედიატრმა ახალშობილი გასინჯა, საჯდომზე მსუბუქი წამორტყმის შემდეგ ამოისუნთქა და დაიყვირა.“

საკანში სხედან ზოოფილი, პედოფილი, ნეკროფილი და ექსტრემალი.

— ახლა კატა მომცა, — ამბობს ზოოფილი.

— პატარა, — პედოფილი.

— მკვდარი, — ნეკროფილი.

— მიაუუუ, — ექსტრემალი.

***

რუსი თბილისში ჩამოვიდა, გიდი აიყვანა და ქალაქს ათვალიერებს, ეცნობა არქიტექტურას. ბოლოს გიდს ეუბნება:

— მომისმინე, რატომაა აქ ყველაფერი ასეთი პატარა?

— ???

— აი, მაგალითად, ეს შენობა. ჩვენთან მოსკოვში ის ათჯერ უფრო დიდი იქნებოდა...

— რა თქმა უნდა, ეს ხომ ფსიქიატრიულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა




წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემას აგვარებთ. **კურო** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ, ახალი წამოწყება გაამართლებს. **ლომი** — ყველა პრობლემას ისე აგვარებთ, რომ თავად გიკვირთ. **ქალწული** — დრო არ დაკარგოთ, იმოქმედეთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** — ყველაფერს მოევლება, მთავარია იმოქმედოთ. **თხის რქა** — დაისვენეთ, გაერთეთ. **მერწყული** — კარგ ხასიათზე ხართ, საქმეს ხალისით აკეთებთ. **თევზები** — დიდი ხანია. რაღაც გინდათ, იმოქმედეთ და სურვილს აისრულებთ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

## hჰჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. პიანინოების, როიალების მწარმოებელი გერმანული ფირმა; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი-ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. საზეიმო სვლა, პროცესია; 9. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირეს რაიონში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. საქართველოს დედოფალი მე-11 საუკუნეში, ბაგრატ მეექვსეს მეუღლე; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




